



**შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტი
სამართლის ფაკულტეტი
კერძო სამართლის სამაგისტრო პროგრამა**

**თემა: საბანკო კრედიტის სამართლებრივი
რეგულირება**

**ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად**

სტუდენტი:

ალექსანდრე ბერუაშვილი

ნაშრომის ხელმძღვანელი:

პროფესორი

რომან შენგელია

თბილისი

2019

შინაარსი

ანოტაცია -----	3
Anotation -----	4
შესავალი -----	5
თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა -----	7
1.1. საბანკო კრედიტი -----	7
1.2. კრედიტის სახეები -----	12
თავი II. პრობლემის კვლევა/ანალიზი -----	18
2.1.1. ბანკის წარმოშობის ისტორია მსოფლიოში და საქართველო -----	18
2.1.2. კრედიტი, როგორც საბანკო ოპერაციების შემადგენელი ნაწილი -----	29
2.1.3. კრედიტის განვითარების ძირითადი ეტაპები -----	37
2.1.4. კომერციული კრედიტი -----	45
2.1.5. სესხი და საბანკო კრედიტი -----	47
2.2. საბანკო სესხის ხელშეკრულება -----	51
2.2.1. საბანკო სესხის ხელშეკრულების თავისებურებანი -----	51
2.2.2. საბანკო სესხის ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობანი -----	54
2.2.3. საბანკო კრედიტის სახეები -----	59
2.2.4. სამომხმარებლო კრედიტი -----	63
2.2.5. ბიზნესკრედიტი -----	65
2.2.6. იპოთეკური კრედიტი -----	69
დასკვნა -----	72
გამოყენებული ლიტერატურა -----	75

ანოტაცია

სამაგისტრო თემის - „საბანკო კრედიტის სამართლებრივი რეგულირება“ განხილვის სფეროა ქვეყანაში დომინანტი ფინანსური ინსტიტუტების, ძირითადად საბანკო დაწესებულებების და მასთან დაკავშირებული კრედიტის სამართლებრივ ჭრილში განხილვა. საბანკო კრედიტის რეგულირების მონიტორინგის შეფასება/ანალიზი, დასვენების გაკეთება და არგუმენტირებული წინადადების დამუშავება, რომელიც მიმდინარე ეტაპზე იქნება შედეგის მომტანი, როგორც მოცემული სფეროსთვის ასევე ქვეყნის ეკონომიკისა და სამეურნეო სფეროსათვის მთლიანობაში. უზრუნველყოფს ეკონომიკის ზრდის მაღალი ტემპების მიღწევას, ეკონომიკური აქტივობის ზრდას. როგორც პრაქტიკამ აჩვენა ქვეყნის ეკონომიკის წარმატება, სტაბილული და მდგრადი განვითარება დიდად არის დამოკიდებული ფინანსური ინსტიტუტების ეფექტიან მუშაობაზე, რაც თავის მხრივ ვერ მიიღწევა დროის შესაბამისი, გამონწვევების ადექვატური საბანკო კრედიტის სამართლებრივი რეგულირების გარეშე.

ზემოაღნიშნული საკითხების აქტუალობიდან გამომდინარე ჩვენს საკვლევ თემაზე მუშაობისას ყურადღება გავამახვილეთ ისეთ საკითხებზე როგორცაა: ფინანსური სისტემის და საბანკო კრედიტის არსი და ძირითადი ამოცანები (ფინანსური ბაზრის ევოლუცია, ფუნქციები და სტრუქტურა), საბანკო კრედიტი, როგორც ფინანსური ინსტიტუტების ძირითადი სეგმენტი (საკრედიტო სისტემის სტრუქტურა, საქართველოს თანამედროვე საკრედიტო სისტემა), საბანკო კრედიტის რეგულირების გლობალური სისტემა, საბანკო კრედიტის რეგულირების სამართლებრივი ასპექტები საქართველოში. საბანკო სისტემის რეგულირებისა და ძირითადი მეთოდების ანალიზი, ასევე მის ფარგლებს გარეთაც, რამეთუ საბანკო კრედიტი მნიშვნელოვანია არამარტო მისი ფუნქციების რაობით არამედ მნიშვნელოვანია მისი ისტორიით, ნაშრომში კი

მოცემული საკითხი ძალიან აქტიურად არის წარმოჩენილი და საუბარია საბანკო კრედიტის სამართლებრივი რეგულირების განვითარებაზე საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მსოფლიოში.

Annotation

Our current Master Thesis - "Legal Regulation of Bank Credit" - is a subject of discussion in the legal context of dominant financial institutions, mainly banking institutions and related credits in the country. Evaluation / analysis of bank credit regulation monitoring, making a compromise and processing of an argumented proposal that will bring results in the current stage as well as for the economy and the whole of the country as a whole. Ensures high growth of economic growth, economic activity growth.

Practice has demonstrated the success of the country's economy, stable and sustainable development depends largely on the efficient work of financial institutions, which can not be without the adequacy of the existing challenges of adequate bank credit.

Based on the relevance of the our research on the work focused on such issues as the financial system and the banking credit to the essence and main tasks (financial market evolution, functions and structure), bank credit, as financial institutions in the main segment (the credit system, the structure of the staff drove a credit system), banking kreditisregulirebis global system, bank credit to the legal aspects of the regulation of the banking system in Georgia regilirebisa and basic methods of analysis, as well as on the outside, because bank credit is not only important but also the nature of its functions and its important work in the history of the issue is very active and present in the bank loan for the development of legal regulation in Georgia and elsewhere in the world.

შესავალი

თემის აქტუალურობა. ნებისმიერი ქვეყნის მოკლევადიან თუ გრძელვადიან ეკონომიკურ პოლიტიკას ქვაკუთხედად გასდევს ზრდის მაღალი ტემპების მიღწევა, დროის შესატყვისი საბანკო ინსტიტუტების ფორმირება და გამართული საკრედიტო საქმიანობის უზრუნველყოფა, რომელიც ჩვენი აზრით ვერ იქნება რეალიზებული და მხოლოდ კეთილ სურვილად დარჩება, თუ არ განხორციელდა შესაბამისი რეფორმები. საკითხი კიდევ უფრო მეტად მწვავეა საქართველოში, სადაც ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა საბანკო ინსტიტუტების რეფორმირება, იმ კონტექსტში, რომ აღნიშნული სფერო (საბანკო-საკრედიტო დაწესებულებები) გახდნენ ეკონომიკის განვითარების მასტიმულირებელი და ხელის შემწყობი, რაზადეც უნდა იყვნენ კიდევ ორიენტირებული. მით უმეტეს ამის არაერთი მაგალითი მოიპოვება დღევანდელი მსოფლიოს არაერთი ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მდგომარეობას თუ გადავხედავთ.

მოცემულ სფეროში გარდაქმნების აუცილებლობა პრაქტიკამაც დაადასტურა, რაც მდგომარეობს თინანსური ინსტიტუტების (განსაკუთრებით საბანკო დაწესებულებების) დომინირებული მდგომარეობაში და მათ მიერ კონკურენციის ნაწილობრივ შეფერხებაში, რაც ასევე გაცხადებული იქნა სახელმწიფო საზედამხედველო სტრუქტურების და ორგანოების მხრივ. შედეგად უნდა აღვნიშნოთ,

რომ ეს ყოველივე განაპირობებს საკვლევად არჩეული თემის აქტუალობას და მიზანშეწონილებას.

მიზნები და დასმული ამოცანები. ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის მიზანია ქვეყანაში მოქმედი ფინანსური ინსტიტუტების ეფექტური, არსებული გამოწვევების საბანკო კრედიტის სამართლებრივი რეგულირების ადექვატური მეთოდების შერჩევა, თუმცა რათქმაუნდა აღნიშნული განხილულია მსოფლიოში მიდინარე ტენდენციების შესაბამისად. დასახული მიზნის მისაღწევად საჭირო გახდა ისეთი ამოცანების გადწყვეტა, როგორცაა: საფინანსო-საკრედიტო სისტემისა და დაწესებულებების სტრუქტურის შესწავლა, საკრედიტო და საფინანსო სექტორის რეგულირება.

საკვლევი საგნისა და ობიექტის. საკვლევი თემის ობიექტად, თემის შინაარსიდან გამომდინარე შერჩეული იქნა როგორც ზოგადად მსოფლიო მასშტაბით ფინანსური ინსტიტუტების საბანკო დაწესებულებების, ასევე ქვეყნის საფინანსო დაწესებულებების საბანკო კრედიტის სამართლებრივი რეგულირების წარმოსაჩენად.

კვლევისათვის გამოყენებული მეთოდები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. კვლევის მეთოდოლოგიას საფუძვლად დაედო ლოგიკური და ისტორიული ერთიანობის პრინციპი, სისტემურ მიდგომას, შედარებითი ანალიზი, ინდუქციის/დედუქციის მეთოდები, ანალიზის/სინთეზის კვლევის და სხვა აპრობირებული ხერხები.

წინამდებარე სამაგისტრო კვლევის თეორიული საფუძველს შეადგენს როგორც ქართულენოვანი ასევე უცხოურენოვანი ნაშრომები ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობის, საბანკო დაწესებულებების და საბანკო კრედიტის სამართლებრივი რეგულირება და . გამოყენებული იქნა სტატისტიკური ინფორმაცია და ფინანსური ინსტიტუტების ისტორიული განვითარების ასპექტები.

თავი I. ლიტერატურის მიმოხილვა

1.1. საბანკო კრედიტი

2012 წელს გამოიყა ზვიად გაბისონიას ნაშრომი საბანკოსამართალი,რომელმაც დიდი გამოხმაურება ჰპოვა ,როგორც ეკონომისტებში ასევე იურისტებში,რადგან ნაშრომში მკაფიოდ იქნა ასახული ის ძირითადი ასპექტები,რომელიც დაკავშირებულია საბანკო საქმესთან.

ზვიად გაბისონიამ აღწერა დეტალურად საბანკო კრედიტის არსი, რაც ჩემი ნაშრომის ერთ-ერთი მთავარი განხილვის თემაა.გაბისონია ამბობს,რომ იურიდიული ბუნებით საბანკო კრედიტის ხელშეკრულება სასყიდლიანი ხელშეკრულებაა ასევე აღნიშნავს,რომ საბანკო კრედიტი ძალიან ჰგავს სესხის ხელშეკრულებას მაგალითისთვის კი მოჰყავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 867-ე მუხლი,სადაც პირდაპირ არის მითითებული,რომ კრედიტის გამცემი მსესხებელს სესხის სახით აძლევს საბანკო კრედიტს .იგი ფიქრობს,რომ საბანკო კრედიტის გამცემი უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული და ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტი. სესხის ხელშეკრულების მხარე კი შესაძლებელია იყოს ნებისმიერი რეზიდენტი ფიზიკური თუ იურიდიული პირი.

გაბისონია ამბობს,რომ კრედიტსა და სესხს შორის მკვეთრი განსხვება არ არსებობს,რისი დასტურისთვისაც ისევ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 867-ე

მუხლი მოჰყავს, მაგრამ ამბობს რომ 623 და 628 მუხლები ცალკე განსაზღვრავენ და არეგულირებენ სესხის ხელშეკრულებას და ეს ადასტურებს, რომ აუცილებლად უნდა მოხდეს საბანკო კრედიტის და სესხის ხელშეკრულების გამიჯვნა და ცალკე გამოყოფა, რათა არ მოხდეს აღრევა.

გაბისონიას აზრით აუცილებელია მოხდეს საბანკო კრედიტის და სესხის ხელშეკრულების გამიჯვნა, რაც მრავალ გაუგებრობას თავიდან აგვაცილებს, რასაც პრაქტიკაში საკმაოდ ხშირი ხასიათი აქვს.

საბანკო კრედიტის ხელშეკრულების მხარეები არიან კრედიტის გამცემი და მსესხებელი ძირითად შემთხვევაში გაბისონიას აზრით კრედიტის გამცემი უნდა იყოს კომერციული ბანკი, მაგრამ პრაქტიკაში ეს ასე არ არის და კრედიტის გამცემები ასევე არიან მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიც.

გაბისონიას ამბობს, რომ მხარეთა შეთანხმებით კრედიტორისთვის შეიძლება განისაზღვროს მყარი ან ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი და მაგალითისთვის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 868-ე მუხლი მოჰყავს, რომლითაც განამტკიცებს მის მოსაზრებას.¹

მყარ საპროცენტო განაკვეთში იგულისხმება მხარეთა მიერ წინასწარ დადგენილი ფიქსირებული საპროცენტო სარგებელი, რომელიც არ იცვლება ხელშეკრულების გასვლამდე მიუხედავად ეკონომიკური ბაზრის რყევებისა და გარემო ფაქტორების სირთულეებისა.

პრაქტიკაში ასევე არსებობს ცვალებადი საპროცენტო სარგებელი ეს ხდება მაშინ როცა მოვალეს შეუძლია პერიოდულად სხვადასხვა ტიპის თანხებით შეუძლია გადაიხადოს მასზე დაკისრებული ვალი ეს ხდება მაშინ როცა მსესხებლისთვის რთულია განსაზღვროს თუ რა პერიოდულობით დაფარავს იგი ვალს მიზღვები კი შეიძლება სხვადასხვა იყოს.

1. საბანკო კრედიტის გრძელვადიანობა
2. საკრედიტო აუქციონზე დაფიქსირებული რყევები
3. საპროცენტო განაკვეთის პერიოდული ცვლილება

¹ ზ. გაბისონია, საბანკო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“. 2012. გვ. 174

4. არასტაბილური გარემო

5. საომარი მდგომარეობა

გაბისონიას ისევ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 868-ე მუხლი მოჰყავს მაგალითისთვის და ამბობს, რომ კრედიტის გამცემმა სამართლიანობის პრინციპების დაცვით უნდა იმოქმედოს კრედიტის გაცემის დროს, რათა არ ჰქონდეს გარკვეულ ინსცინუაციებს ადგილი.

ავტორი ამბობს, რომ საბანკო კრედიტის პროცენტის ცვალებადობა უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს ეროვნული ბანკის სადისკონტო განაკვეთს ან ბანკთაშორის საკრედიტო აუქციონზე დაფიქსირებულ საპროცენტო განაკვეთს

ავტორი ასევე ამბობს, რომ იმ შემთხვევაში თუ წლიური საპროცენტო განაკვეთის ცვლილება დაშვებულია კრედიტის გამცემის მიერ მაშინ იგი ვალდებულია მისაღები ფორმით შეატყობინოს მსესხებელს ფორმები კი შემდეგია.

1. შეტყობინება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.²

2. კრედიტის გამცემის მიერ ინფორმაციის განთავსება მის ოფიციალურ ვებ-გვერდზე

3. სმს შეტყობინების გაგზავნა

4. ხელშეკრულების ცვლილება

ავტორი ამბობს, რომ იმ შემთხვევაში თუ წლიური საპროცენტო განაკვეთი არ არის მითითებული მაშინ გამოიყენება მხოლოდ კანონით გათვალისწინებული წლიური პროცენტი.

გაბისონია ამბობს, რომ არსებობს მთელი რიგი პრობლემები საბანკო კრედიტის გაცემასთან დაკავშირებით ერთ-ერთი პრობლემაა საპროცენტო განაკვეთის ოდენობა ეს პრობლემა კი ავტორის აზრით სწორედ იმის გამოა გამოწვეული, რომ სესხის გამცემი საფინანსო ინსტიტუტები მიმართავდნენ გარკვეულ გვერდით გზებს, რათა მსესხებელს გაუჭირდეს გარკვევა თუ რა ოდენობის იქნება რეალურად საპროცენტო სარგებელი ისინი ცდილობენ შეფუთონ მარკეტინგულად ეს ყოველივე ისე რომ მათი მოქმედება კანონთან შესაბამისობაში მოვიდეს ეს მექანიზმები კი შემდეგია:

1. საპროცენტო სარგებელი დააფიქსირონ ნაკლები

²გ. გაბისონია, საბანკო სამართალი, თბ., გამომცემლობა „მერიდიანი“. 2012. გვ.175

2.არ მიუთითონ საკომისიო

3.არ მიუთითონ კრედიტის გაცემის საკომისიო

4.არ მიუთითონ საკრედიტო ანგარიშის მომსახურების საკომისიო

5.არ გაათვრთხილონ მსესხებელი მოსალოდნელი რისკების შესახებ

ავტორი ამბობს, რომ ეს ყოველივე საკმაოდ მწვავე პრობლემა გახდა ჯერ კიდევ 2011 წელს, როდესაც ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა გამოსცა ბრძანება მომხმარებლისთვის და მსესხებლისთვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების თაობაზე, რამაც გაბისონიას აზრით მთლიანად არა მაგრამ ნაწილობრივ მაინც ხელი შეუწყო პრობლემის მეტ-ნაკლებად გადაჭრას.

ავტორის აზრით, ძალიან კარგია, რომ კომერციულ ბანკებს გარკვეული ვალდებულებები დაეკისრათ ეს ვალდებულებები კი არის შემდეგი.

1. მიიღოს პრეტენზიები მომხმარებლისგან³

2. იქონიოს პრეტენზიების წარდგენის სტანდარტული ფორმა

3. ჰქონდეს ჩანაწერები დაფიქსირებული პრეტენზიების შესახებ და ეძებდეს გადაჭრის გზებს

4. აღრიცხოს აღნიშნული პრეტენზიები და მიაწოდოს ეროვნულ ბანკს ინფორმაცია

გაბისონიას აზრით მსგავსი მიდგომები იყო დროული, რათა მსესხებლის ინტერესები მაქსიმალურად ყოფილიყო დაცული და თავიდან ყოფილიყო აცილებული ზედმეტი გართულებები.

იმ შემთხვევაში, როცა ხელშეკრულება ითვალისწინებს კრედიტის გაცემას უცხოური ვალუტით ბანკმა ხელშეკრულების თავსართში უნდა გააკეთოს ჩანაწერი შემდეგი ჩანაწერით უცხოური ვალუტით აღებული სესხი მომხმარებელს რისკის ქვეშ აყენებს ავტორის აზრით საკითხთან მსგავსი მიდგომა ლეგიტიმურია, რადგან საქართველოში ხშირია კურსის ცვლილება და მისი მერყეობა.

გაბისონიას ძალიან მოსწონს ის ტენდენციები, რომლითაც ეროვნული ბანკი ოპერირებს და გარკვეულ ვალდებულებებს უწესებს კომერციულ ბანკებს ეს ვალდებულებები კი ფინანსური ხარჯების ჩვენებაა მსესხებლისთვის. კომერციული

³ზ. გაბისონია, საბანკო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2012. გვ. 178

ბანკები ვალდებულნი არიან მსესხებელს მიაწოდონ ფინანსური ხარჯების შესახებ ინფორმაცია ფინანსური ხარჯები კი შემდეგია.

- 1.საპროცენტო ხარჯები
- 2.მომსახურებაზე ბანკის მიერ დაწესებული გადასახდელები
- 3.საკომისიო ხარჯები
- 4.აუცილებელი დაზღვევის ხარჯები
- 5.ქონების ღირებულების შეფასების ხარჯები
- 6.სანოტარო ხარჯები
- 7.ადმინისტრაციული ორგანოს მომსახურებისთვის და წესებული საფასური
- 8.გადასახდელი,რომელსაც მომხმარებელი უხდის მესამე პირს საკრედიტო პროდუქტით სარგებლობის დროს
- 9.ბანკის სხვა პროდუქტით სარგებლობასთან დაკავშირებული აუცილებელი გადასახდელი
- 10.სხვა მნიშვნელოვანი გადასახდელი

გაბისონიას აზრით , მსესხებელი ინფორმირებისას ბანკის მხრიდან დაცულია და ამ დროს შეგვიძლია ვიფიქროთ,რომ საქმე გვაქვს არა ზედაპირულ წიაღ-სვლებთან არამედპასუხისმგებლიან დაკრედიტებასთან ამ დროს კი მსესხებელიც და გამსესხებელიც მოგებული რჩება, რადგან თავიდან ხდება მთელი რიგი რისკების აცილება,რაც ხელს უწყობს ქვეყნის ფინანსურ გაჯანსაღებას .

ავტორის აზრით,როდესაც ფინანსურ ხარჯს მომხმარებელი უხდის მესამე პირს და ბანკს არ შეუძლია ზუსტი ფინანსური ხარჯის ოდენობის დადგენა,ბანკმა ის უნდა განსაზღვროს აღნიშნული ხარჯის მოსალოდნელი საბაზრო ღირებულების საფუძველზე.

გაბისონია მიიჩნევს,რომ საკრედიტო მომსახურების ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს ნებისმიერ შემთხვევაში წერილობითი ფორმით და არა ზეპირი ფორმით.მასში უნდა იყოს მოცემული მინიმალური სტანდარტული ინფორმაცია.⁴

1.კრედიტის ვადა

⁴ ზ. გაბისონია საბანკო სამართალი თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2012. გვ. 183

- 2.კრედიტის მთლიანი თანხა
- 3.გასათანი თანხის ოდენობა
- 4.კრედიტის საპროცენტო განაკვეთი
- 5.ინპორმაცია კრედიტის საპროცენტო განაკვეთის ცვლილების თაობაზე
- 6.კრედიტის ეფექტური განაკვეთი
- 7.ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები
- 8.პირგასამტეხლოს ოდენობა და მისი გაანგარიშების წესი
- 9.წინასწარ კრედიტის დაფარვის უფლება
- 10.საკრედიტო მომსახურებისთვის დამატებით გასანევი ხარჯები

ავტორი ფიქრობს,რომ კრედიტის რაობის შესწავლისთვის მხოლოდ მისი ფორმალური ცოდნა როდია საჭირო აუცილებელია ინფორმაცია გვექონდეს ზემოდაღნიშნულ გვერდით ეფექტებზეც,რათა კომერციულმა ბანკებმა არ იპოვონ ხვრელი კანონმდებლობაში და არ გამდიდრნენ მსესხებლის ხარჯზე ,რასაც მოწმობს კიდევ წარსული პრაქტიკა.

გაბისონიას მიაჩნია,რომ დღეს ვითარება მსესხებლის გადახდისუნარიანობასთანაც უნდა იყოს დალაგებული,რათა მსესხებელს არ მოუწიოს რაიმე ტიპის ფინანსური ზარალის მიღება მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ ,რომ მან არ იცოდა საბანკო კრედიტის მიღების დროს ,რომ ის გადახდისუნარო იყო გაბისონიას აზრით ,ეს ყოველივე ეროვნული ბანკის საქმეა .

1.2. საბანკო კრედიტის სახეები

შემდეგი ლიტერატურა ,რომელიც მე გამოვიყენე სამაგისტრო ნაშრომში არის რომან და ეკატერინე შენგელიების წიგნი სახელწოდებით საბანკო სამართლის საფუძვლები გამოცემული 2014 წელს გამომცემლობა სამართლის მიერ წიგნში ძალიან მკაფიოდ არის ასახული საბანკო სამართლის ძირითადი ასპექტები.

მოცემული წიგნიდან არაერთ საკითხზე მაქვს ყურადღება გამახვილებული,მაგრამ გამორჩეულად მინდა გამოვყო საბანკო კრედიტის სახეები.

ავტორების აზრით საბანკო კანონმდებლობაში მკვეთრად არ არის გამოყოფილი საბანკო კრედიტის ცალკეული სახეები. საბანკო კრედიტის ცალკეულ სახეებად დაყოფა მისი მიზნობრივი დანიშნულებაა, რომან და ეკატერინე შენგელიების აზრით, საქართველოში არსებობს საბანკო კრედიტის ყველაზე გავრცელებული სახეები და ესენია:

1. სამომხმარებლო კრედიტი
2. იპოთეკური კრედიტი
3. ბიზნეს კრედიტი
4. სალომბარდო კრედიტი

საბანკო კრედიტის ცალკეულ სახეებად დაყოფის საფუძველია მისი მიზნობრივი დანიშნულება, ოდენობა და ვადიანობა.

ავტორები გარკვეულწილად შედარებას ახდენენ საბანკო კრედიტის სახეების და შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე დიდი პოპულარულობით მოსახლეობაში სამომხმარებლო კრედიტი სარგებლობს

ავტორები, მიიჩნევენ, რომ იმისთვის, რათა მსესხებელზე გაიყოს სამომხმარებლო სესხი მას უნდა გააჩნდეს ლეგალური შემოსავლები. ლეგალური შემოსავლები კი შემდეგნაირად გამოიყურება.

1. ფიზიკური პირის ხელფასი
2. საწარმოს აქციების წილი
3. ბანკში შეტანილი ანაბარი
4. საიჯარო თანხები

შენგელიებს ყურადღება აქვთ გამახვილებული უცხოურ პრაქტიკაზეც და განხილული აქვთ თუ რა ლიმიტი არსებობს სამომხმარებლო სესხისთვის დაწესებული და რა პირობებს უნდა აკმაყოფილებდეს.

ავტორებს ასევე განხილული აქვთ ბიზნესკრედიტიც და მას აქტიურ კრედიტს უწოდებენ. იმისთვის რათა მოხდეს ბიზნესკრედიტის მიღება ავტორების აზრით აუცილებელია ბანკში იქნეს წარდგენილი შემდეგი საბუთები.

1. იურიდიული ხასიათის საბუთები

2.ბულალტრული ანგარიშგება

3.ბიზნეს-გეგმა

4.დასაკრედიტირებელი ღონისძიების საფუძვლები

5.კრედიტის უზრუნველყოფის საშუალების გამოყენების შესაძლებლობის დამადასტურებელი საბუთები.

ავტორებმა მოცემული საბუთები იმის დასტურად გამოკვეთეს ,რომ ფიქრობენ ბიზნესკრედიტისთვის მიღებული პრაქტიკის თანამედროვეობაში დანერგვაზე,რადგან საქართველოში მოცემული პრაქტიკა სულ ცოტა ხნის წინათ შემოვიდა.

შენგელიებს განხილული აქვთ ასევე იპოთეკური კრედიტი,რომელიც უზრუნველყოფის გარეშე არ გაიცემა. ავტორებმა გამოითვალეს და დაადგინეს ,რომ დღეს არსებული საბანკო პორტფელის 15 პროცენტი იპოთეკურ კრედიტზე მოდის რაც არცთუ ისეთი დაბალი რიცხვია.

ავტორებს მიაჩნიათ ,რომ დღეს საქართველოში გარემო იპოთეკურ კრედიტის გაცემასთან დაკავშირებით საკმაოდ სანერვიულოა, რადგან მოსახლეობა ხშირად უკანაკნელ უძრავ ქონებას სდებს უზრუნველყოფის სახით ეს კი საკმაოდ დიდი რისკია ამიტომ რომან შენგელია მიიჩნევს,რომ პრობლემას დროული მოგვარება სჭირდება,რადგან სახეზეა ქვეყანაში ძალიან მძიმე ეკონომიკური ფონი და აუცილებელია პრობლემის დროული გადაჭრა.

ავტორების აზრით ,აუცილებელია სწორედ შეფასდეს იპოთეკური კრედიტის გაცემის დროს მსესხებლის გადახდისუნარიანობა ეს ძალიან ბევრ რისკს ააცილებს მსესხებელს და იხსნის უძრავი ქონების დაკარგვისგან

ავტორებს იმის დასადასტურებლად,რომ იპოთეკა მოთხოვნისუზრუნველყოფის საშუალებას წარმოადგენს მოჰყავთ მაგალითი სანოტარო და სასესხო-საკრედიტო პრაქტიკიდან და ამბობენ ,რომ მისი გამოყენება შეიძლება, როგორც ჩვეულებრივი სესხისას ისე საბანკო კრედიტის დროს.⁵

⁵ რ.შენგელია, ე.შენგელია, საბანკო სამართლის საფუძვლები, თბ., გამომც. „სამართალი“, 2014. გვ. 103

შემდგეი წიგნი ,რომელზეც მე ყურადღება გავამახვილე ჩემს ნაშრომში არის თანამედროვე საბანკო საქმე,რომელიც არის ირაკლი კოვზანაძის და გოგი კონტრიძის თანაავტორობით გამოცემული 2014 წელს.

მოცემულ ნაშრომში თანაავტორებს განხილული აქვთ ყველა ის პრობლემატიკა,რომელიც ასე მკაფიოდ დგას საბანკო სფეროში და საჭიროებს გადაჭრას,მაგრამ მე ძირითადი ყურადღება გავამახვილე მოცემულ ნაშრომში კრედიტის ნაირსახეობაზე და მის რეგულირების მექანიზმებზე ამიტომ აღნიშნული ავტორების აზრი საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის თუ რას ფიქრობენ ისინი საბანკო კრედიტის რაობაზე.

კოვზანაძეს და კონტრიძეს ყურადღება აქვთ გამახვილებული იპოთეკურ კრედიტზე და ამბობენ ,რომ იპოთეკური კრედიტი გირაოს ერთ-ერთი ფორმაა ,რომლის დროსაც დაგირავებული ქონება რჩება მსესხებელს ხოლო კრედიტორი მოთხოვნის დაკმაყოფილებას ახერხებს ამ ქონების რეალიზაციიდან იმ შემთხვევაში თუ მსესხებლის მხრიდან ვალდებულება არ იქნა შესრულებული.

იპოთეკური დაკრედიტებით სარგებლობენ როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებიც,მაგრამ ავტორთა აზრით მოცემული მიდგომა მაინც თეორიულია, ხოლო პრაქტიკაში ეს ყოველივე ძირითად შემთხვევებში მხოლოდ ფიზიკური პირების მხრიდან აღებულ იპოთეკური კრედიტის მოთხოვნაში გამოიხატება ხოლმე, რაც ავტორთა აზრით ლოგიკურიცაა.⁶

კოვზანაძეს და კონტრიძეს ყურადღება ასევე აქვთ გამახვილებული მათ ნაშრომში სამომხმარებლო კრედიტზეც ,რადგან სამომხმარებლო კრედიტი საბანკო კრედიტის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ სახეს წარმოადგენს.

ძირითად შემთხვევაში სამომხმარებლო კრედიტის დანიშნულება მხოლოდ ფიზიკური პირებისთვისაა ,რათა გაუმჯობესდეს მათი ცხოვრება უკეთესობისკენ ,მაგრამ ავტორები მიიჩნევენ,რომ სამომხმარებლო კრედიტი ძალიან რისკის შემცველია,რადგან მისი მოთხოვნა მსესხებლის მხრიდან ხდება ყოველგვარი უზრუნველყოფის გარეშე ,რაც შესაძლებელია საბოლოო ჯამში ცუდად იყოს ასახული

⁶ ი.კოვზანაძე, გ.კონტრიძე თანამედროვე საბანკო საქმე, თბ., გამომც. „იურისტების სამყარო“, 2014. გვ. 353

კომერციული ბანკებისთვის, მაგრამ ავტორებს ყურადღება აქვთ ასევე იმ პაქტზეც გამახვილებული, რომ სარისკოსთან ერთად სამომხმარებლო კრედიტი ასევე შემოსავლიანიცაა, რადგან მოცემული მდგომარეობით ის ბიზნესსესხებს აღემატება.

ავტორები ასევე ყურადღებას ამახვილებენ იმ ხიბლზე რაცაა სამომხმარებლო კრედიტისთვის მოცემული და ეს ფაქტორებია შეიძლება იყოს გარკვეული საგნები შეძენა და ესენია:

1. საყოფაცხოვრებო საგანი
2. უძრავი ქონება
3. მოძრავი ქონება
4. ტურისტული მიზანი
5. სამედიცინო მიზნები

ავტორები ყურადღებას ამახვილებენ იმ გარემოებებზეც, რომ მსესხებელმა შესაძლებელია ვერ უზრუნველყოს მოცემული კრედიტის მომსახურება ანუ მისი დათარვა ეს კი პირველ რიგში კომერციულ ბანკს აზარალებს, სწორედ ამიტომ კომერციული ბანკები სამომხმარებლო კრედიტისთვის გაცილებით უფრო მაღალ საპროცენტო განაკვეთს აწესებენ, რაც იპოთეკური კრედიტისთვის არის დაწესებული, რაც ავტორთა აზრით ლოგიკურიცაა, რადგან სადაც რისკი მაღალია იქ საპროცენტო განაკვეთიც მაღალი უნდა იყოს, რათა გამსესხებელმა მოახდინოს რისკების დროული ადეკვატური შესწავლა და შემდეგში მისი პრევენცია.

ავტორები ასევე ამახვილებენ ყურადღებას სამომხმარებლო კრედიტის ცნებაზე და ამბობენ იმასაც, რომ მათ ერთი მიზანი აერთიანებს და ეს ფიზიკური პირების სამომხმარებლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაა. ამ დიდ ჯგუფში კი შედის სხვადასხვა მიზნობრივი სამომხმარებლო კრედიტი და ესენია;

1. იპოთეკური კრედიტი
2. ავტო კრედიტი
3. სტუდენტური სესხი
4. ტურისტული სესხი
5. განვადებები

6.სარემონტო სესხი

7.აგრო სესხი

8.სხვა რაიმე ტიპის სესხი

ავტორები მოცემულ დაყოფას სწორედ მიიჩნევენ,რადგან სამომხმარებლო მოთხოვნებიდან გამომდინარეა,რომ მსესხებელი საჭიროებს სესხს ,მაგრამ ავტორთა აზრით საგულისხმოა ისიც რომ სამომხმარებლო კრედიტი მაინც ცალკე უნდა იყოს წარმოდგენილი,რადგან მისი მიღება ხდება ყოველგვარი უზრუნველყოფის გარეშე და შესაბამისად რისკებიც მეტია.

შემდეგი წიგნი,რომელიც მე გამოვიყენე ჩემს ნაშრომში არის კოდიფიცირება იმ ნორმების და ერთ წიგნში თავმოყრა ,რომელიც წარმოდგენილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში,გამოცემული 2015 წელს გამომცემლობა იურისტების სამყაროს მიერ,მოცემული კოდექსი არის ნათელი დასტური იმისა თუ რა ტიპის ნორმებით უნდა იხელმძღვანელო ,როდესაც საუბარი ეხება საბანკო კრედიტის სამართლებრივ რეგულირებას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსიდან ყურადღება მამყვს გამახვილებული 505-ე და 868-ე მუხლებზე. 505-ე მუხლში საუბარი შეეხება განვადების საკითხს,სადაც ნათქვამია,რომ განვადებით ნასყიდობისას გამყიდველი ვალდებულია გადასცეს ნივთი მყიდველს ფასის გადახდამდე.ნივთის ფასის გადახდა მყიდველის მიერ ხდება ნაწილნაწილ დროის განსაზღვრულ შუალედში.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 868-ე მუხლში კი განხილულია საკითხები,რომელიც შეეხება საბანკო კრედიტის საპროცენტო განაკვეთებს,როგორც მყარ ასევე ცვალებად საპროცენტო განაკვეთებს. ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის დროს კრედიტის გამცემმა საპროცენტო განაკვეთის სიდიდე უნდა განსაზღვროს სამართლიანობის საფუძველზე.იგი ასევე მოვალეა საბაზრო საპროცენტო განაკვეთის გაზრდას ან შემცირებას შეუსაბამოს თავისი საპროცენტო განაკვეთი.კრედიტის გამცემი მოვალეა მისაღები ფორმით შეატყობინოს მსესხებელს კრედიტისათვის საპროცენტო განაკვეთის შესახებ.

თუ წლიური საპროცენტო განაკვეთი არ არის მითითებული მაშინ გამოიყენება მხოლოდ კანონით გათვალისწინებული წლიური პროცენტი.თუკი ხარჯების დაკისრება არ იყო გათვალისწინებული წლიური პროცენტის გამოთვლისას, მაშინ ეს ხარჯები არ ანაზღაურდება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსიდან მნიშვნელოვნად მივიჩნევ გამოვყო შემდეგი მუხლები 870, 871,872,873.ეს მუხლები კი დაკავშირებულია დამატებით უზრუნველყოფის გამოყენებასთან ,ხელშეკრულების შეწყვეტაშთან , ზიანის ანაზღაურებასთან,რაც გამოწვეული იქნა კრედიტის ვადამდე დაბრუნების გამო დასაკრედიტო ურთიერთობის შეწყვეტასთან,რომელიც კრედიტის ნაწილ-ნაწილ დაბრუნების გამო მოხდა.

თავი II. პრობლემის კვლევა/ანალიზი

2.1.2.ბანკის წარმოშობის ისტორია მსოფლიოში და საქართველოში

საბანკო საქმის განვითარების რეტროსპექტივა საბანკო საქმის წარმოშობა_განვითარება დაკავშირებულია პროცენტის (მოგების) მომტან კაპიტალთან, რომელსაც ისტორიულად წინ უსწრებდა სავაჭრო კაპიტალი, რომელიც უკვე არსებობდა პირველყოფილი წყობის პერიოდში.⁷ პროცენტის მომტანი კაპიტალის მთავარ ფორმად სასესხო კაპიტალი ითვლება. როგორც კი კერძო საკუთრება წარმოიქმნა, საქონელგაცვლიდან განვითარდა საქონლური ფულადი ურთიერთობანი, რამაც გააძლიერა საზოგადოების ქონებრივი ურთიერთობანი. სათავეში მდგომმა მდიდარმა ფენამ შესაძლებლობა მიიღო ფული სესხად მიეცათ მათთვის ვისაც იგი სჭირდებოდა. ასეთი სესხები, როგორც წესი, დაკავშირებული იყო მიწის საწინდართან. თუ მოვალე ვერ შეძლებდა სესხის დაბრუნებას, მაშინ საწინდარი მიწა სესხის მიმცემის საკუთრებაში გადადიოდა. თუ მსესხებელს მიწა არ ჰქონდა, მაშინ იგი თვითონ ხდებოდა დამოკიდებული.

სავაჭრო კაპიტალის წარმოქმნასა და განვითარებასთან მჭიდროდაა დაკავშირებული საბანკო საქმის წარმოშობა. ბანკების საწყისი და ძირითადი ფუნქცია გადასახადებში შუამავლობა იყო. ასეთი შუამავლობის შედეგად ბანკებმა თავისუფალი ფულადი კაპიტალი პროცენტის (შემოსავლის) მომტანად აქცია. ისინი ფულად საშუალებებს ყველა შესაძლო წაყაროდან აგროვებდნენ და კრედიტით აძლევდნენ მოთხოვნის შესაბამისად, პირველ ყოვლისა გაბატონებულ კლასს. ბანკების მსგავსი ინსტიტუტები, ჯერ კიდევ ადრეულ საუკუნეებში არსებობდა. ეგვიპტეში საბანკო ოპერაციები ხორციელდებოდა ძვ. წთ. აღ. 2700 წ. ბაბილონსა და ასურეთის მრავალრიცხოვანი დოკუმენტები (მაგ; ხამურაბის კანონების კრებული, ძვ. წთ. აღ. 1704-1662 წწ.) მოწმობენ რომ მაშინაც იყო ვექსილი და ჩეკი, ხოლო სახსრების შენახვისა და სასესხო ოპერაციების ფორმები კანონით რეგულირდებოდა. მაგ., სახსრების შენახვისათვის კანონი ითვალისწინებდა გადასახადს. იმ დროს სესხები გაიცემოდა არა მხოლოდ ფულადი ფორმით, არამედ ცალკეული საქონლის სახით (მაგ: ხორბლით, ფინიკით, შალით, ზეთით და ა. შ.), აქაც აგრეთვე ადგილი ჰქონდა

⁷ ზ.გაბისონია, საბანკო საქმე. თბ., გამომც. „იურისტების სამყარო“, 2015. გვ. 154

პროცენტის დარიცხვას. ამასთან, საქონლის შესანახად გამოიყენებოდა საკულტო-რელიგიური შენობები, რადგან იქ უზრუნველი იყო უმაღლესი უსაფრთხოება. მონათმფლობელურ საბერძნეთში მონასტრები, როგორც ფულის შენახვის ადგილები, წამყვან როლს ასრულებდნენ და კულტის მსახურებიც არსებითად თავისებურ ბანკირებად ითვლებოდნენ. ერნესტ კურტიუსი წიგნში „საბერძნეთის ისტორია“, წერს: ყველა წამყვან მონასტერთან დაკავშირებული იყო ფინანსების მართვა. ქურუმები ესწრაფოდნენ მონასტრის წლიური შემოსავლის გაზრდას მათი უნარიანი მართვით, მიწის არენდით, სესხის მომგებიანი გაცემის საშუალებით, განძის წარმოქმნას, რომელიც საკმარისი იქნებოდა არამართო წესჩვეულებების შესასრულებლად, არამედ მონასტრის ძლიერების განმტკიცებისათვის. სწორედ ამ დროს მიეკუთვნება ცნობილი ძარცვა. ჰეროსტრატემ ძვ. წთ. აღ. 356 წ. არტემიდა ეფესელის ტაძარი დაწვა არა იმისთვის, როგორც ეს მიღებული იყო, „ისტორიაში შესულიყო“, არამედ იმისათვის, რომ დაწვის გზით დაეფარა გაძარცვის კვალი. მეხუთე ასწლეულში ძველი წელთ აღრიცხვით რომში გაიცემოდა პროცენტიანი სესხები გირავნობით ან მის გარეშე, ხოლო 100 წლის შემდეგ გამოჩნდნენ „ბანკირები“.

მეორე პუნიკური ომის დროს (დაახლოებით 200 წ. ძვ. წთ. აღ.) რომი ხმელთაშუა ზღვის წამყვან საფინანსო ცენტრად ითვლებოდა. სავაზმო კაპიტალმა თავის სრულ განვითარებას მონათმფლობელურ და ფეოდალურ საზოგადოებაში მიაღწია. იგი ორი ძირითადი ფორმით არსებობდა: ფულადი სესხის სახით გაბატონებული კლასებისათვის (მონათმფლობელებისა და ფეოდალებისათვის) და ნატურალური ფორმით საქონლის მარტივი მწარმოებლებისათვის. ამ დროისათვის მევახშეებად უმთავრესად ვაჭრები, ფეოდალი-მინათმოქმედნი, აგრეთვე მონასტრები გამოდიოდნენ. საპროცენტო განაკვეთი საკმაოდ მაღალი იყო. იგი 40-დან 100%-მდე მერყეობდა, ცალკეულ შემთხვევაში შეიძლება ზემოთც ყოფილიყო, მაღალი საპროცენტო განაკვეთი ეწინააღმდეგებოდა სანარმოო ძალების განვითარებას. ძირს უთხრიდა მონათმფლობელური და ფეოდალური წარმოების წესს. ფეოდალიზმის დროს მეფეები, ომისა და კრიზისის დროს, მიმართავდნენ მიმოქცევაში არსებული

⁸⁸ზ. გაბისონია, საბანკო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2012. გვ. 183

ლითონური ფულის გაფუჭებას. ამის შემდეგ გაჩნდა ზარაფების პროფესია, რომლებიც ამოწმებდნენ მონეტების ხარისხს და გაცვეთილის შეცვლის აუცილებლობისას, ახდნენ ახლის გაჭედვას. ფულის ასეთმა გაცვლამ ბოლოს და ბოლოს გამოიწვია დეპოზიტური ოპერაციების განვითარება თანამედროვე გაგებით.

პირველად ფული საბანკო დაწესებულებებში თავსდებოდა დეპოზიტების სახით იმ პირობით, რომ შემდგომ პატრონებს იგივე მონეტები დაუბრუნდებოდათ. შემდეგ დაიწყო დეპოზიტების გამოყენება სესხისათვის, რამდენადაც მევახშეს უნდა დაებრუნებინა იგივე თანხა და არა იივე ფული, როგორც ასეთი, ამიტომ ე.წ. შენახვის დეპოზიტები თანდათან გარდაიქმნა ბანკის დეპოზიტებად. კლიენტს შეჰქონდა ბანკში ფულადი თანხა იმისათვის, რომ გარკვეული დროის შემდეგ გადაეტანა იგი თავისი სავაჭრო პარტნიორის ანგარიშზე. იმავდროულად მის საბანკო ანგარიშზე შედიოდა გადასახადები კლიენტებისაგან. ანგარიშებში დებეტური და კრედიტული ჩანწერების საშუალებით ხორციელდებოდა ფულის ბრუნვა. წარმოიქმნა სპეციალური ინსტიტუტები – უირობანკები („უირო« ბერძნული სიტყვაა და წრეს ნიშნავს), რომლებიც ამ ოპერაციებს ახორციელებდნენ. პირველი ბანკი თანამედროვე გაგებით იტალიური სიტყვიდან მომდინარეობს banca რაც გვიანი შუა საუკუნების ქუჩებში გამოტანილ მაგიდებს ასახავდა და მაგიდებზე დაყრილ სხვადასხვა მონეტებს „სადაც გადაცვლა მიმდინარეობდა.ქ. გენუაში წარმოიქმნა 1407 წ. ამ დროისათვის, პირველ ყოვლისა იტალიაში გამოჩნდა საბანკო საქმიანობის ახალი ინსტიტუტები. წარმოიქმნა და განვითარდა ბუღალტრული აღრიცხვის ორმაგი სისტემა, რომელმაც თავისი მნიშვნელობა აქამდე შეინარჩუნა. XII საუკუნეში იტალიაში პირველი ვექსილი გაჩნდა. XIV ს-ში ჩვეულებრივი გახდა ვექსილის წარმოდგენა არამართო მეანაბრის, არამედ მესამე პირის სასარგებლოდ. XVII ს-ის ბოლოს შემოღებულ იქნა გადაცემითი მინაწერი (ინდოსამენტი) ვექსილებზე, რაც აბსტრაქტულ საგადასახადო ვალდებულებად იქცა. იტალიაშივე დეპოზიტების ბაზარზე გაჩნდა ბანკნოტები ეს განპირობებული იყო ეკონომიკური აუცილებლობით, საწარმოო ძალებისა და ვაჭრობის სწრაფი განვითარებით. ოქრო ფულის სახით არ კმაროდა და წარმოიქმნა მოთხოვნილება „სავაჭრო ფულზე«. საწყის ეტაპზე ეს ბანკნოტები სრულყოფილად

უზრუნველყოფილი იყო დეპოზიტებით. როგორც კი ზარათებმა შეამჩნიეს, რომ ყოველდღიურად ყველა ანაბარი არ გამოიყენებოდა თავისი მფლობელების მიერ და რომ ყოველდღიური მოთხოვნილება ყველა დეპოზიტის მხოლოდ განსაზღვრულ პროცენტს შეადგენდა, მათ დაიწყეს საგირავნო ბილეთების მიცემა ვაჭრებზე დეპოზიტური დაფარვის გარეშე და ამით თვითონ აძლევდნენ მათ კრედიტებს. 6 ასეთი ბანკნოტები შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც თანამედროვე ბანკნოტის წინამორბედი.

XVII ს-ში, ინგლისში, კაპიტალიზმის განვითარების ადრეულ სტადიაზე, ბანკნოტებმა ფართო გავრცელება პოვა მას შემდეგ, რაც ინგლისის ბანკმა დაიწყო მათი მიმოქცევაში გაშვება. მევახშეების მონოპოლური პოზიციები დაირღვა სამრეწველო და სავაჭრო კაპიტალისტების მიერ, რომელთაც შემოიღეს ერთმანეთისათვის კრედიტების მიცემა ზომიერი პროცენტებით. მათ ბრძოლას მევახშეების წინააღმდეგ მრავალ ქვეყანაში მხარს უჭერდა სახელმწიფო. 1624 წ. ინგლისში მიღებული იქნა კანონი, რომლითაც შეიზღუდა განაკვეთი რვა პროცენტით. 1651 წ. პროცენტის ზედა ზღვარი განისაზღვრა ექვსით, 1714 წ. – ხუთით. არსებობდა სპეციალური წესები იმ მევახშეთა დაჯარიმებისათვის, რომლებიც ეცდებოდნენ ასეთი შეზღუდვების გვერდის ავლას. თანამედროვე საბანკო საქმის სათავეები უნდა ვეძებოთ, პირველ ყოვლისა, იტალიის, უფრო ზუსტად, ჩრდილოეთ იტალიის შუა საუკუნეების ზარათების საქმიანობაში. ყველაზე გავლენიანი იყო კათოლიკური ეკლესიის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული ბანკები – კურიები. საყოველთაოდ ცნობილია მედიჩის სახელოვანი კლასიკური ლიტერატურის ბანკი ფლორენციაში. ფლორენციაში არსებულ ბანკის მთავარ კანტორას 16 ფილიალი ჰქონდა ისეთ ქალაქებსი, როგორცაა პარიზი, ლონდონი ბრიუგე, ლიონი, ვენეცია, გენუა, რომი, ნეაპოლი. მთავარი კანტორა იძლეოდა ფულად გზავნილებს, რომლებსაც ყველა ფილიალი ანაზღაურებდა და აღნიშნავდნენ, რომ მედიჩის სავაჭრო სახელი ანაზღაურებს თანხას ნდედამიწის ნებისმიერ კუთხეში ნამდვილი გზავნილების წარდგენისას... ოქროს გულდენებში”. გერმანიაში აუგსბერგის და საბანკო სახლის ფიუგერებმა 1508 წ. შეძლეს მთელი თავისი რომის აგენტურის გაერთიანება ჰაპ იოანე მეორის ბანკში. მაგრამ

ფიუგერები ახორციელებდნენ ოპერაციებს არა მარტო ჰაჰთან, არამედ ევროპის მეფეებთან და კაიზერებთანაც. შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ მთელ მსოფლიოში ბანკების როლი წარმოებისა და მიმოქცევისა მოცულობების განვითარების შესაბამისად იზრდებოდა. გაჩნდა თავისუფალი ფულადი რესურსები, რომელთა აკუმულირება ხორციელდებოდა და სესხის სახით მრეწველ და მოვაჭრე კაპიტალისტებისაკენ მიიმართებოდა. მეურნეობის ყველა დარგში სდასაქონლო-ფულადი მიმოქცევის განვითარებამ საბნკო კაპიტალის განვითარებაც განაპირობა. ბანკების საწყის ფუნქციებს – ფულით ვაჭრობას, ახალი ფუნქცია – კაპიტალის მართვის ფუნქციაც დაემატა, რომელსაც პროცენტული შემოსავლები მოჰქონდა.

ბანკებმა, როგორც კაპიტალის შემგროვებლებმა, წარმოების მთლიანი პროცესების მომსახურება დააწესეს და მასზე უშუალო ზემოქმედების შესაძლებლობა მიიღეს. კაპიტალისტური საკრედიტო სისტემა აღმოცენდა და განვითარდა, როგორც რეაქცია მევახშეობის წინააღმდეგ. სარგებლის მომტანი კაპიტალი, რომელიც მანამდე მხოლოდ წვრილ მენარმეებზე და დიდგვაროვნებზე მხოლოდ ფუფუნებით ცხოვრებისათვის გაიცემოდა, კაპიტალისტური წარმოების წესის პირობებს და მოთხოვნებს დაექვემდებარა. კაპიტალისტი მსესხებელი გახდა, რომელიც კრედიტს არა ფუფუნებით ცხოვრებისათვის, არამედ მწარმოებლური განვითარების მიზნებით იღებდა. კრედიტებზე გაზრდილმა მოთხოვნილებამ ბანკები აიძულა საკრედიტო რესურსების გაზრდისათვის ებრუნა. ბანკები არამარტო თავისუფალი ფულადი კაპიტალის ცენტრალიზაციას ახდენდნენ და მის გამოყენებას სარგებლის მიღების მიზნით ახორციელებდნენ, არამედ მოსახლეობის წვრილ დანაზოგებსაც კაპიტალად აქცევდნენ.⁹

საბანკო საქმიანობის წარმოშობა და განვითარება საქართველოში, როგორც მსოფლიოს უმეტეს ძველ ცივილიზებულ ქვეყანაში, საქართველოშიც ფულადსაკრედიტო ურთიერთობებს, სხვადასხვა საკრედიტო დაწესებულებების, ბანკების არსებობას საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ქვეყნებს – იბერიასა და კოლხეთს, სხვადასხვა სახის საკრედიტო

⁹ ზ.გაბისონია, საბანკო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2012. გვ. 184

დანესებულებები – ზარაფებისა და მევახშეობის ინსტიტუტების სახით გააჩნდათ, რომლებიც დღევანდელი საბანკო სისტემის წინამორბედებს წარმოადგენდნენ. მსგავსი ტიპის სტრუქტურული ერთეულები საქართველოში ჯერ კიდევ კოლხეთისა და იბერიის სამეფოში ძვ.წთ.აღ-ით VI ს-ში გამოჩნდნენ. შემდგომ პერიოდში ეს პროცესი პერმანენტულად გრძელდებოდა და ჩქარდებოდა, VIII ს-ის საქართველოში უკვე არსებობდნენ ფართო საკრედიტო ორგანიზაციები – დღევანდელი გაგებით ბანკები, რომელთაც ორტალი ეწოდებოდა, რომელნიც კრედიტებს სხვადასხვა ქონების გირავნობის ქვეშ ან მის გარეშე იძლეოდნენ. ე.წ. „ოქროს ხანის“ საქართველოში (XII-ს) ნიშანდობლივი თავისებურება მისი ფულად სისტემა იყო. კერძოდ ის ფაქტი, რომ სხვა ქვეყნებისაგან განსხვავებით საქართველოს ტერიტორიაზე ვრცხლისა და სპილენძის ფულს ერთი და იგივე მსყიდველობითი უნარი გააჩნდათ – უპრეცედენტო მოვლენა იყო ომ დროს მსოფლიოში, რადგან შუა საუკუნეების სახელმწიფოებში თვით სპილენძის ფულს, ნომინალის მიუხედავად, ლითონის ღირებულება ჰქონდა. როგორც ისტორიული წყაროები მოწმობენ, დავით აღმაშენებელს ფრიად ორიგინალური გადაწყვეტილება მიუღია: საქართველოს მინაწალზე რვალს „თეთრი“ ვერცხლად მიიღებოდესო (რვალი-სპილენძისა და თუთიის შენარევი ლითონი, რომლისგანაც იბეჭდებოდა ფული). თანამედროვე ტერმინოლოგია რომ გამოვიყენოთ, დავით აღმაშენებელმა სავალუტო რეფორმა – ეროვნული ვალუტის დევალვაცია მოახდინა და მკაცრი სავალუტო კონტროლის დამყარებით ქვეყანაში უცხოელების მიერ ქართული დიზაინის მქონე სპილენძის ყალბი მონეტების შემოტანა აღკვეთა. ამ სავალუტო რეფორმამ, როგორც შემდგომმა მოვლენებმა აჩვენა – საქართველოს ეკონომიკის განვითარებას შეეწყო ხელი. XI – XIII სს. საქართველო ჩაბმული იყო მსოფლიო ვაჭრობაში, რის შედეგადაც ვითარდებოდა საკრედიტო დანესებულებებიც, თუმცა XIII ს-ის მეორე ნახევრიდან, მას შემდეგ, რაც საქართველო განუწყვეტელი ბრძოლების არენად იქცა, რაიმე სახის საკრედიტო დანესებულებების არსებობის შესახებ მასალები ისტორიულ წყაროებში აღარ მოიპოვება. მოგვიანებით XVII–XVIII სს. საქართველოში უკვე საზარაფო დანესებულებები არსებობდა (განსაკუთრებით ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ის დროს), რომლებიც საკრედიტო –

საანგარიშსწორებო ოპერაციას ასრულებდნენ და ჭრიდნენ ფულს არამართო საქართველოში, არამედ მეზობელ სახელმწიფოებშიც. მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერიამ გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო (1801 წ.), საქართველოში მოქმედი ეროვნული საკრედიტო სტრუქტურები გაუქმდა და მათ ადგილზე დაიწყო რუსეთის სხვადასხვა საკრედიტო დაწესებულებათა დაარსება. საქართველოში, პირველი ასეთი საკრედიტო დაწესებულება დაარსდა 1810 წელს თბილისში „საქართველოს საზოგადოებრივი მზრუნველობის საგანგოს“ სახელწოდებით, რომელიც იღებდა ანაბრებს და იძლეოდა კრედიტებს. თბილისში 1866 წლიდან ფუნქციონირებდა რუსეთის ბანკის (შეიქმნა 1860 წ.) თბილისის სამმართველო.¹⁰

1871 წელს დაარსდა თბილისის კომერციული ბანკი დაიწყო მუშაობა ფილიალებით ბაქოში, ბათუმში და ერევანში.¹¹ ამავე წლიდან საქართველოს შეიქმნა „შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა“, ანუ „სასოფლო ბანკი“ (დაფუძნდა დუშეთის მაზრაში). XIX ს-ის 80-იან წლებში საქართველოში სულ 85 საკრედიტო დაწესებულება ფუნქციონირებდა, 5 8 თბილისში. 1875 წლის 28 ივნისს თბილისში ილია ჭავჭავაძის თაოსნობით დაფუძნდა თავადაზნაურთა საადგილმამულო ბანკი, ხოლო ქუთაისში – 1876 წელს ნიკო ლოლობერიძის თაოსნობით. 1917 წელს თბილისში ფუნქციონირებდა „ცენტრობანკი“, ფილიალებით ლანჩხუთში, ბორჯომში, ქუთაისში და ზესტაფონში. საქართველოს საფინანსო საქმიანობას რუსეთის ბანკების კანტორებიც ეწეოდნენ: ვოლგა-კამსკის კომერციული ბანკი, სანკტპეტერბურგის საერთაშორისო ბანკი, სახალხო ბანკი, საერთაშორისო ნდობის საზოგადოების სტატუსით ა. პრიდანოვის ბანკი. 1917 წლის ცნობილი რევოლუციების შემდეგ, კარდინალურად შეიცვალა, როგორც ბანკის საქმიანობის მიმართულებები, ასევე საბანკო სისტემა მთლიანობაში. 1919 წელს მრეწველობის დაკრედიტება შეწყდა, საწარმოების ყველა შემოსავალი, ფულადი ურთიერთობების შენარჩუნებით, ხაზინას გადაეცა. ბიუჯეტი კი დგებოდა, მაგრამ მას თავისი პრაქტიკული მნიშვნელობა დაკარგული ჰქონდა. რუსეთის ხელისუფლება ისეთ ღონისძიებებს ატარებდა, რომელიც სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების ლიკვიდაციისაკენ იყო მიმართული, რადგან, კომუნისტური

¹⁰გ. ვაბისონია, საბანკო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“. 2012. გვ. 185

¹¹რ.შენგელია, ე.შენგელია, საბანკო სამართლის საფუძვლები, თბ., გამომც. „სამართალი“, 2014. გვ. 103

იდეოლოგიის შესაბამისად, სოციალისტური საზოგადოება ფულის გამოყების გარეშე უნდა განვითარებულიყო, მიღებული იქნა გადაწყვეტილება საბანკო სისტემის ლიკვიდაციის შესახებ.

1920 წლის 19 ივნისს სახალხო კომისარიატის საბჭოს დეკრეტით სახალხო ბანკი გაუქმდა და მისი აქტივები და პასივები ფინანსების სახალხო კომისარიატს გადაეცა, რომელმაც ემისიის უფლებაც შეინარჩუნა. ამ პერიოდისათვის ქვეყანაში არცერთი საკრედიტო დაწესებულება არ ფუნქციონირებდა. საბანკო საქმიანობამ, როგორც სოციალურმა ფენომენმა არსებობა შეწყვიტა, რამაც მაშინვე იმოქმედა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. „სამხედრო კომუნისმის“ პოლიტიკის ჩავარდნის შემდეგ ქვეყნის მთავრობა იძულებული გახდა ახალ ეკონომიკურ პოლიტიკაზე (ნეპი) გადასულიყო, რასაც სასაქონლო-ფულადი ურთიერთობები უნდა აეღორძინებინა. 1921 წელს, როცა რუსეთმა საქართველოში ხელახალი ანექსია მოახდინა ეროვნული ბანკი გადაკეთდა საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის სახალხო ბანკად, რომელიც 1924 წლის დასაწყისიდან სსრკ-ს სახელმწიფო ბანკის (იგი 1923 წლის ივლისიდან ფუნქციონირებდა) საქართველოს სახელმწიფო ცენტრალურ ბანკად გარდაიქმნა. რუსეთში და შესაბამისად საქართველოშიც სახელმწიფო ბანკის დაწესებულებათა ქსელი მნიშვნელოვნად გაფართოვდა 1922 წლისათვის. თავისუფალი მენარმეობა და ქვეყნის დინამიური განვითარება ახალი საკრედიტო დაწესებულებების შექმნას მოითხოვდა. 1922- 1925 წწ. ქვეყანაში ცალკეული მეურნეობების მომსახურე ბანკების ფართო ქსელი შეიქმნა, როგორებიცაა: „მრეწვბანკი“, „ელექტროკრედიტი“, „ცეკავშირის ბანკი“, „სასოფლოსამეურნეო ბანკი“, „კოპერატიული ბანკი“ და სხვ. 1923 წელს თბილისში დაარსდა „საქართველოს კომერციული ბანკი“ განყოფილებებით აჭარაში, აფხაზეთში, ქუთაისსა და ფოთში. 1923 წლის ოქტომბერში ფუნქციონირება დაიწყო თბილისის ოლქის „შემნახველმა სალარომ“, რომელსაც ფილიალები ოთხ რაიონში ჰქონდა გახსნილი, ხოლო 1929 წლისათვის შემნახველი სალაროების რიცხვმა საქართველოში 270-ს მიაღწია.

1927 წელს ქვეყნის ხელისუფლებამ „საკრედიტო სისტემის აღორძინების პრინციპების შესახებ“ მიიღო დადგენილება, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ ბანკის მუშაობაში განსაკუთრებით სპეციალიზირებული ბანკების პარალელიზმში შეინიშნებოდა და ისინი უნივერსალურ ბანკებად ყალიბდებოდნენ. დაკრედიტების განმხორციელებელმა ბანკების სიმრავლემ მათ შორის კონკურენცია წარმოშვა. ბანკების ფუნქციები მკაცრად დაკონკრეტდა და სახბანკის, როგორც მოკლევადიანი დაკრედიტების ორგანოსი და დარგობრივი ბანკების, როგორც გრძელვადიანი დაკრედიტების ორგანოს როლები შესაბამისად გაძლიერდა. ბანკები დამოუკიდებელი ეკონომიკური საქმიანობისაკენ მიისწრაფვოდნენ, მთავრობა კი მათი ეკონომიკის ცენტრალიზებული მართვის ინსტრუმენტად გარდაქმნას ცდილობდა. 1930 წლის ბოლოსათვის „ნეპი“ იქნა ლიკვიდირებული, ხოლო საბანკო სისტემამ 1930- 1932 წ.წ. საკრედიტო რეფორმის განხორციელებისას ღრმა ცვლილებები განიცადა, რის შედეგად სპეციალიზირებული სახელმწიფო ბანკის ქსელი შეიქმნა, რომლებიც მათზე „მიმაგრებული“ სახალხო მეურნეობის დარგების დაფინანსებაზე იყვნენ ორიენტირებულები. დაიწყო ნახევარსაუკუნოვანზე მეტი პერიოდი, რომელიც იმით ხასიათდებოდა, რომ ბანკების არსებობის მიუხედავად ფაქტობრივად საბანკო საქმიანობა არ არსებობდა, რადგანაც ბანკები საშემნახველო სალაროებად გადაიქცნენ იმის გამო, რომ სოციალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება დირექტიულად სახელმწიფო ადმინისტრაციულ ¹²ორგანოებზე იქნა განპირობებული. XX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს, საბანკო სისტემის რეფორმის დაწყების პროცესში სახელმწიფო ბანკების სამმართველოები და განყოფილებები თვითნაზღაურებაზე გადაიყვანეს ბანკების მართვის ცენტრალიზებული სისტემის შენარჩუნებით. მაგრამ აღნიშნულის განხორციელება შეუძლებელი გახდა უპირველეს ყოვლისა იმ რესურსების მკაფიო გამოყოფის შეუძლებლობის გამო, რომელთა განკარგვის შესაძლებლობა ექნებოდათ მათ. სპეციალიზირებული ბანკების სისტემის ბანკების საქმიანობა წინააღმდეგობაში მოვიდა საბაზრო ურთიერთობებთან. ეკონომიკის ტრანსფორმაციას თან ცენტრალიზებული მატერიალური მარაგის სიტემის

¹²რ. შენგელია, ე. შენგელია, საბანკო სამართლის საფუძვლები თბ., გამომც. „სამართალი“, 2014. გვ. 104

ლიკვიდაცია მოჰყვა. ამან საშუამავლო და სავაჭრო ორგანიზაციების ფართო ქსელი წარმოშვა და საბანკო მომსახურებაზე მოთხოვნილება მკვეთრად გაზარდა. ქვეყნის ეკონომიკას ეფექტიანი და საკრედიტო საანგარიშსწორებო მოსახურების საჭიროება გაუჩნდა. სახელმწიფო სპეციალიზირებული ბანკების ცენტრალიზებულმა სისტემამ, კონსერვატიულობისა და ინერტიულობის გამო, ამ ამოცანის გადაწყვეტა ვერ შეძლო. საბანკო დაწესებულებებმა საკუთარი კაპიტალი ვერ მიიღეს. ისინი ცენტრალიზებული ინსტრუქციებით აგრძელებდნენ მუშაობას და ქვეყნის რეგიონებში საბაზრო ეკონომიკის ყოველდღიურად წამოჭრილი პრობლემების გადასაწყვეტად თავიანთი საქმიანობის ადაპტაცია ვერ მოახერხეს. სპეციალიზირებული ბანკების დაწესებულებათა უმეტესობამ ერთპიროვნულად დაიწყო კომერციულ ბანკებად გარდაქმნა. კლიენტურის სახელმწიფო სპეციალიზირებული ბანკებიდან კომერციულ ბანკებში მასობრივი გადასვლა დაიწყო. 1994 წლის ბოლოსათვის, ქვეყანაში უკვე 200-ზე მეტი კომერციული ბანკი ფუნქციონირებდა და საბანკო სფეროში სახელმწიფო მონოპოლია იქნა ლიკვიდირებული. რაც შეეხება ცენტრალური ბანკის ტიპის საბანკო დაწესებულებათა ფუნქციონირებას საქართველოში, იგი რიგი თავისებურებებით ხასსიათდებოდა. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას არ გააჩნა საკრედიტო სისტემის მართვისა და რეგულირების საკუთარი სათაო რგოლი – საქართველოს ეროვნული ბანკი. მის მოვალეობას ასრულებდა რუსეთის ყოფილი საიმპერიო ბანკის თბილისის განყოფილება, რომესაც 1917 წლის ნოემბრიდან არავითარი კავშირი არ ჰქონდა საიმპერიო ბანკთან. რუსეთის ყოფილი საიმპერიო ბანკის თბილისის განყოფილებამ 1917 წლის ნოემბრიდან ჯერ ამიერკავკასიის კომისარიატის ფინანსთა კომისრის ქრიტეფრე კარჩიკიანის უშუალო დაქვემდებარებაში, ხოლო შემდეგ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრის გიორგი შურულის და კონსტანტინე კანდელაკის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებოდა. აღნიშნული ბანკის თბილისის განყოფილების ფინქცია ზარაფხანიდან შეტანილი ფულადი ნიშნების ფინანსთა მინისტრის დირექტივებისამებრ განკარგვა იყო. მის მუშაობას აკონტროლებდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დანიშნული საგანგებო კომისარი. დამოუკიდებელი სახელმწიფო საკრედიტო აპარატის არარსებობა,

რომელიც საკუთარ თავზე აიღებდა ფულის მიმოქცევის და სხვა სასიცოცხლო ეკონომიკური მნიშვნელობის საქმეთა რეგულირების პრეროგატივას, ერთობ უარყოფით როლს თამაშობდა და შეუძლებელი იყო, დიდხანს გაგრძელებიყო. 1919 წლის 13 დეკემბერს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამფუძნებელი კრებისა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ მიღებულ იქნა „კანონი სახელმწიფო ბანკის დაარსების შესახებ“, რითაც ქვეყანაში საბანკო სისტემის მარეგულირებელი და ეროვნული ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განმახორციელებელი ორგანოს კანონიერ ფუნქციონირებას ჩაეყარა საფუძველი. კანონს თან ერთვოდა წესდება, რომელშიც საქართველოს სახელმწიფო ბანკის დანიშნულება, წყობის სტრუქტურა, საწესდებო კაპიტალი და უფლებამოვალეობანი იყო განმარტებული.¹³

საქართველოს სახელმწიფო ბანკმა ფუნქციონირება 1920 წლის ივლისიდან დაიწყო. კანონის თანახმად, აღნიშნული სტრუქტურის დაარსების პირველივე დღიდან „საქართველოს სახელმწიფო ბანკი“ ეწოდა. მისი ძირითადი ფუნქცია იყო ფულის მიმოქცევისა და რესპუბლიკის ფულადი ნიშნების სტაბილურობა, აგრეთვე ვაჭრობის, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის მოკლევადიანი სესხის გაცემა. საქართველოს სახელმწიფო ბანკის პირველ თავმჯდომარედ აირჩიეს ცნობილი ქართველი ფინანსისტი იასონ ლორთქიფანიძე. მიუხედავად თავისი არსებობის მცირე ხნისა, ბანკმა საქართველოსთვის ბევრი სასარგებლო და მნიშვნელოვანი საქმის გაკეთება მოასწრო: განახორციელა ფულის რეფორმა, შეიქმნა მნიშვნელოვანი უცხოური სავალუტო რეზერვები, მიმოქცევიდან ამოიღო ამიერკავკასიის კომისარიატის ბონები. ამ უკანასკნელის თავისუფალი მიმოქცევა აშკარად ზღუდავდა სუვერენული საქართველოს ფულად-საკრედიტო სფეროს და ამდენად, ხანგრძლივად ვერ გაგრძელდებოდა. შედეგად, საქართველოს ეროვნულ საბჭოში ქართული ფულის, თუნდაც ბონების სახით გამოშვების მომხრეთა რიცხვი დღითიდღე იზრდებოდა.

¹³ რ.შენგელია, ე. შენგელია საბანკო სამართლის საფუძვლები, თბ., გამომც. „სამართალი“, 2014. გვ.103

1918 წლის ივნისში დაარსდა „ქართული ფულის ფონდი“, რომელიც მომავალი ქართული ვალუტის სტაბილური კურსი ერთ-ერთი მყარი გარანტი უნდა გამხდარიყო. 1918 წლის ივლისში გამოცხადდა კონკურსი ქართული ფულის ნიშნების კონკრეტული მხატვრული სახის შესარჩევად და დასადგენად. ღონისძიებას ხელმძღვანელობდა მთავრობის მიერ შექმნილი სპეციალური კომისია, რომელმაც ერთხმად მოიწონა მხატვარ იოსებ შარლემანის მიერ შესრულებული ესკიზი. სწორედ ეს ესკიზი დაედო საფუძვლად ქართული ბონების გარეგნულ სახეს. ამ პერიოდისთვის ქართული ბონების გამოსაშვებად უკვე მომზადებული იყო ნიადაგი – საშინაო და საგარეო მდგომარეობა შედარებით სტაბილური იყო და ყველა ეთანხმებოდა მოსაზრებას, რომ უკვე იყო დრო, ერთხელ და სამუდამოდ, წერტილი დასმოდა საქართველოს ფინანსურ დამოკიდებულებას სომხეთსა და აზერბაიჯანში. 1921 წლის 21 თებერვალის შემდეგ, როდესაც საქართველოში დამყარდა საბჭოთა წყობილება, ქვეყანამ დაკარგა დამოუკიდებლობა და „საქართველოს სახელმწიფო ბანკს“ სახელმწიფოებრივი საფუძველი გამოაცალა და მან არსებობა შეწყვიტა. ამ პერიოდიდან გენერალური ბანკის ფუნქციებს „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ბანკი ასრულებდა“ საბანკო სისტემის განვითარების ისტორიაში საქართველოსთვის ახალი ეტაპი 1991 წლიდან იწყება. პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყანაში ფეხს იკიდებს საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული ეკონომიკა. ქვეყნის წინაშე მდგარ უამრავ პრობლემათა შორის ერთ-ერთი ყველაზე ურთულესი და უმნიშვნელოვანესია მძლავრი, კონკურენტუნარიანი, მოქნილი და საიმედო საბანკო სისტემის შექმნა, რამდენადაც ქვეყნის ეკონომიკის განვითარება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია საბანკო სისტემის მდგრადობასა და სტაბილურობაზე. საბანკო სფერო მოითხოვს სერიოზულ ყურადღებასა და მხარდაჭერას, რომ მან არ შეაფერხოს ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის პროცესი და ეროვნული მეურნეობის დინამიური განვითარება. 1991 წლის აგვისტოსში ოპერატიულმა კანონმა საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ორიარუსიანი საბანკო სისტემის ჩამოყალიბებას და განსაზღვრა, თუ ვის და როგორ უნდა განეხორციელებინა ფულად-საკრედიტო ურთიერთობათა რეგულირება და რა როლი უნდა ეთამაშა ამ

მიმართულებით საქართველოს ეროვნულ ბანკს. ქვეყნის ცენტრალურ ბანკს შექმნის პირველივე დღეებიდან ეწოდა „საქართველოს ეროვნული ბანკი“, რომელიც მძლავრ სახელმწიფოებრივ-ეკონომიკურ ინსტიტუტს წარმოადგენს. ¹⁴1993 წელს საქართველოში სამასამდე კომერციული ბანკი იყო.

2.1.2. კრედიტი, როგორც საბანკო ოპერაციების შემადგენელი ნაწილი

საბანკო კრედიტის სფეროში მეურნე სუბიექტები, მოსახლეობა, სახელმწიფო და თვით ბანკები წარმოადგენენ ძირითად მონაწილეს სუბიექტებს. ბანკი დამოუკიდებელი საკრედიტო დაწესებულებაა და იგი თავის საკრედიტო პოლიტიკას პოლიტიკური და ეკონომიკური პირობების, საბანკო კანონმდებლობის დონის, ბანკთშორისო კონკურენციის საბანკო ინფრასტრუქტურის განვითარების ხარისხისა და სხვათა გათვალისწინებით ახორციელებს. ბანკის სტრატეგია და ტაქტიკა კრედიტების მიღებისა და გაცემის სფეროში მისი საკრედიტო პოლიტიკის არსს შეადგენს. ბანკის საკრედიტო პოლიტიკა თავის თავში შემდეგ ელემენტებს მოიცავს: - მიზნების განსაზღვრას, რომელთაგან გამომდინარე ბანკის საკრედიტო პორტფელის ფორმირება ხორციელდება (სახეობები, ვადები, მოცულობა და უზრუნველყოფის ხარისხი); - ბანკის ქვედანაყოფების უფლებამოსილებების კრედიტების გაცემის, მომსახურებისა და დაფარვის პროცესში გამიჯვნას; - საჭირო საბუთების ჩამონათვალს; - კრედიტების უზრუნველყოფის მიღების, შეფასებისა და რეალიზაციის ძირითად წესებს; - დაკრედიტებასთან დაკავშირებული ოპერაციების ლიმიტირებას; - კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთების დადგენის პოლიტიკას; - საკრედიტო განცხადების შეფასების მეთოდოლოგიას; - პრობლემური კრედიტების დიაგნოსტიკის, მათი ანალიზისა და შექმნილი სიტუაციებიდან გამოსვლის გზების დახასიათებას. კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკა – ბანკის კომპლექსურ ღონისძიებებს მოიცავს, რომელთა მიზანს – საკრედიტო ოპერაციების შემოსავლიანობის ამაღლება

¹⁴ ი. კავზანაძე, თანამედროვე საბანკო საქმე, თეორია და პრაქტიკა, თბ., გამომც. „იურისტების სამყარო“, 2014. გვ. 109

და საკრედიტო რისკის შემცირება წარმოადგენს.¹⁵ საკრედიტო პოლიტიკის ფორმირებისას ბანკმა რიგი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები უნდა გაითვალისწინოს მაკროეკონომიკური ფაქტორები - ქვეყნის ეკონომიკის საერთო მდგომარეობა; - ეროვნული (ცენტრალური) ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა; - საქართველოს მთავრობის ფინანსური პოლიტიკა. რეგიონალური და დარგობრივი ფაქტორები - ეკონომიკის მდგომარეობა ბანკის მიერ მომსახურების რეგიონებში და დარგებში; - კლიენტების შემადგენლობა, მათი მოთხოვნილება კრედიტებში; - ბანკი - კონკურენტების არსებობა. შიდა საბანკო ფაქტორები - ბანკის საკუთარი სახსრების (კაპიტალის) სიდიდე; - პასივების სტრუქტურა; - პერსონალის შესაძლებლობები და გამოცდილება. ბანკის საკრედიტო პოლიტიკის განმსაზღვრელი ფაქტორები დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ კომერციული ბანკის პასიური ოპერაციებით წარმოიქმნება ბანკის რესურსები, ხოლო აქტიური ოპერაციებით ბანკი ამ რესურსებს იყენებს მოგების მიღების მიზნით. დაკრედიტების სუბიექტისაგან დამოკიდებულებაში კრედიტებს განასხვავებენ: სახელმწიფო და არასახელმწიფო საწარმოებზე და ორგანიზაციებზე, ინდივიდუალური შრომით დასაქმებულ მოქალაქეებზე, სხვა ბანკებზე, ხელისუფლების ორგანოების ჩათვლით დანარჩენ მეურნეებზე, ერთობლივ საწარმოებზე, საერთაშორისო გაერთიანებებზე და ორგანიზაციებზე. დანიშნულების მიხედვით კრედიტებს განასხვავებენ: სამომხმარებლო, სამრეწველო, სავაჭრო, სასოფლო-სამეურნეო, საინვესტიციო, საბიუჯეტო. გამოყენების სფეროს მიხედვით კრედიტები დაიყოფა: წარმოების სფეროში და მიმოქცევის სფეროში. გამოყენების ვადების მიხედვით კრედიტები შეიძლება დაიყოს: მოთხოვნებამდე და ვადიანებად, რომლებიც იყოფა მოკლევადიანებად, საშუალოვადიანებად და გრძელვადიანებად. მოცულობის მიხედვით კრედიტებს განასხვავებენ: მსხვილი, საშუალო და მცირე (მიკრო) მოცულობის სახით. არსებობს კრედიტების შემდეგი სახეობებიც: კომერციული კრედიტი, ლომბარდული კრედიტი, სათამასუქო კრედიტი, კრედიტი ოვერდრაფტი, საერთაშორისო კრედიტი და სხვ. საბანკო ლიკვიდობა ტერმინი ლიკვიდობა წარმოდგება ლათინური სიტყვა Liquidus-დან, რაც თხევადს, გამდინარეს ნიშნავს.

¹⁵ ი. კავზანაძე, თანამედროვე საბანკო საქმე, თეორია და პრაქტიკა, თბ., გამომც. „იურისტების სამყარო“, 2014 . გვ.108

საფინანსო-საბანკო ლექსიკონში ლიკვიდობა განისაზღვრება, როგორც „ბანკის უნარი, უზრუნველყოს თავისი ვალდებულებების დროული შესრულება“. ბანკის ბალანსის ლიკვიდობა ეკონომიკურ ლიტერატურაში შემდეგნაირად განისაზღვრება: ბალანსი ითვლება ლიკვიდურად, თუ მისი მდგომარეობა შესაძლებლობას იძლევა, აქტივის სახსრების სწრაფი რეალიზაციით დროულად და სრულად დაითაროს პასივის ვალდებულებები. ბანკის ლიკვიდობაზე მოქმედებს რიგი ფაქტორებისა. ზოგიერთი მათგანი აშკარაა, მათი ზემოქმედება უეჭველი, სხვები ახდენენ ზემოქმედებას ბანკის ლიკვიდობაზე ირიბად, ამიტომ მათი გამოვლენა შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი ანალიზის შემდგომ. ვალდებულებათა თავისდროული შესრულებისათვის აუცილებელია მაქსიმალური შესაბამისობა ბანკის მოზიდული პასივებისა და დაბანდების ვადების მიხედვით ისე, რომ აქტივების რეალიზაცია დროის ნებისმიერ მონაკვეთში საკმარისი იყოს იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს ბანკის მენაბრეთა მოთხოვნები და ვუპასუხოთ იმ დანარჩენი ვალდებულებების მიხედვით, რომელთა ვადაც დადგა. ზემოაღნიშნული დაბალანსებულობის გარეშე ბანკის ნორმალურ მუშაობაზე საუბარი ზედმეტია, ამიტომ ის დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა საბანკო პოლიტიკის პირველსაფუძვლად.

ბანკებს, რომლებსაც აქვთ თავისი პასივების ნაწილში გრძელვადიანი წყაროები, შეუძლიათ განახორციელონ საინვესტიციო ოპერაციები და გასცენ გრძელვადიანი სესხები, ხოლო იმ ბანკებს, რომელთა სარესურსო ბაზასაც მოკლევადიანი სახსრები შეადგენენ, შეუძლიათ განახორციელონ მხოლოდ მოკლევადიანი ოპერაციები. ბანკის ლიკვიდობის შეფასებით დაინტერესებულნი არიან:

- ცენტრალური ბანკი, რომელიც ახორციელებს ფულად-საკრედიტო რეგულირებას სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის მიზნით;
- ბანკის აქციონერები, დაინტერესებულნი ბანკის საწესდებო კაპიტალში ჩადებული საკუთარი სახსრების შენარჩუნებითა და მომრავლებით;
- კრედიტორები და მენაბრეები, რომლებმაც ანდეს ბანკს დროებით თავისუფალი სახსრები; ბანკის ხელმძღვანელობა და პერსონალი, რომლებიც პასუხისმგებელი არიან კრედიტირებისა და ¹⁶მენაბრების

¹⁶გ. გაბისონია საბანკო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2012. გვ.184

წინაშე მათი სახსრების დაცულობაზე; - პოტენციური პარტნიორები (მ.შ. უცხოელი), რომელთა წინაშეც ღვას ბანკთან თანამშრომლობის მიზანშეწონილობის შეფასების პრობლემა. რამდენადაც საბანკო ლიკვიდობაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორი; იმ მაჩვენებელთა სისტემამ, რომელიც აუცილებელია კომერციული ბანკის ლიკვიდობის შეფასებისათვის, მაჩვენებელთა შემდეგი ჯგუფები უნდა მოიცვას: - საკუთარი სახსრების საკმარისობის მაჩვენებლები; - აქტიური და პასიური ოპერაციების, მათი განხორციელების ვადებისა და შინაარსის მიხედვით ურთიერთმიმართების მაჩვენებლები; - აქტივების ხარისხის, ცალკეული აქტიური ოპერაციების რისკიანობის დონის მაჩვენებლები; - მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ მოზიდულ სახსრებს: დეპოზიტური ოპერაციების დივერსიფიკაციის დონე, მოზიდული რესურსების მოცულობა და ხარისხი; - მომგებიანობის, რენტაბელობის მაჩვენებლები. საქართველოს ეროვნული ბანკი დღეისათვის აკონტროლებს ლიკვიდობის სამი სავალდებულო ნორმატივის შესრულებას: 1) ლიკვიდური აქტივების თანათვარდობა საერთო ვალდებულებებთან; 2) მიმდინარე აქტივების თანათვარდობა მიმდინარე ვალდებულებებთან; 3) საშუალოთვითური ლიკვიდური აქტივების თანათვარდობა საშუალოთვითურ საერთო ვალდებულებებთან. გარდა ამისა, იმ ბანკებში, სადაც აქციონერად ან კრედიტორად გვევლინება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, ასევე სავალდებულოა ლიკვიდური აქტივების საერთო აქტივებთან თანათვარდობის ნორმატივის დაცვა. ამას გარდა, ყოველ მაჩვენებელს, რომელსაც აქვს ნორმატიულად დადგენილი შეზღუდვები, უნდა ჰქონდეს კრიტერიული დონე, დადგენილი ყოველი ბანკის მიერ დამოუკიდებლად, გამომდინარე იქიდან, თუ როგორია ფუნქციონირების კონკრეტული პირობები და სტრატეგიული მიზნები, დასახული საკუთარი ლიკვიდობის მართვის შიდასაბანკო ორგანოების მიერ. საბანკო რისკები ეკონომიკის საბაზრო მოდელი ითვალისწინებს, რომ ბანკის მუშაობის მნიშვნელოვან სტიმულს მომგებიანობა წარმოადგენს. მაგრამ საბაზრო ურთიერთობების განვითარება ყოველთვის სხვადასხვა ეკონომიკური პარტნიორების გარკვეული სახის არასტაბილურობასთან არის დაკავშირებული, რაც შესაბამისად საბანკო რისკების სერიას წარმოქმნის. ხშირად იცვლება მოთხოვნა და

მიწოდება, გარიგების დადების ფინანსური პირობები, კლიენტების გადახდისუნარიანობა და ა.შ. ამიტომ კომერციული ბანკი გარკვეული გარიგების განხორციელებისას მის შედეგებში ბოლომდის დარწმუნებული ვერასოდეს ვერ იქნება, ანუ სხვა სიტყვებით, გარიგების ფინანსური შედეგების რისკის განევა უხდება.¹⁷ ბანკები, ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში მუშაობისას, თავისთავზე არამართო შიდა რისკების ნაირსახეობის, არამედ გარეშე რისკების (რეგიონალური, სოციალური, პოლიტიკური და სხვ.) ზემოქმედებასაც განიცდიან, რომელთა ზემოქმედება ყველგან ერთნაირი არ არის. კომერციული ბანკების საქმიანობაში სხვადასხვა რისკების ძალიან დიდი რაოდენობა არსებობს, მათ შორის: - ემიტენტის ლიკვიდურობის რისკი – დარწმუნებულობა ან დაურწმუნებლობა იმაში, რომ ბანკის აქტივები შეიძლება საბაზრო ან მასთან დაახლოებულ ფასებში იქნეს გაყიდული; - სისტემატური რისკი – რისკი, რომელიც ბანკის მუშაობაში ცვალებადობის ან გადახრების შედეგად წარმოიქმნება მთლიანობაში საბანკო სისტემის საბოლოო საქმიანობასთან მიმართებაში; - საპროცენტო რისკი – ფინანსური აქტივების შემოსავლებისა და ფასების ცვალებადობა, რომელიც პროცენტული განაკვეთების დონის ცვლილების შედეგად არის გამოწვეული, ანუ ეს არის რისკის იმისა, რომ მოზიდული სახსრების საშუალო ღირებულებამ შეიძლება მუშა აქტივებზე შემოსავალს გადააჭარბოს; - საბაზრო რისკები – წარმოიშობა მაშინ, როდესაც შიდა რესურსების (საკუთარი კაპიტალის) ღირებულება გარეშე ბაზარზე კაპიტალის ღირებულებაზე უფრო მაღალია; - ეკონომიკური რისკი – გრძელვადიანი, საშუალოვადიანი და მოკლევადიანი რისკი, რომლსაც კონკურენტუნარიანი ბანკის პოზიცია საპროცენტო განაკვეთის ან იდენტური გარე საბაზრო ფაქტორების ცვლილებების შედეგად განიცდის; - პორტფელური რისკი – აქტივების პორტფელის კონცენტრაციის რისკები საქმიანობის ერთ მიმართულებაში; - გადახდისუნარიანობის რისკი – წარმოიშობა მაშინ, როდესაც ბანკს საანგარიშსწორებო სახსრები არ გააჩნია და მიმდინარე ვალდებულებების შესასრულებლად ამ მიზნებისათვის საკუთარი სახსრები გამოიყენება; - სტრატეგიის რისკი – წარმოიშობა ბანკის მიერ ბაზრის საკუთარი სექტორის არაადეკვატურად განსაზღვრისა და ბაზრის

¹⁷ ი. კავზანაძე, თანამედროვე საბანკო საქმე, თეორია და პრაქტიკა“, თბ., გამომც. „იურისტების სამყარო“. 2014 . გვ. 107

იმ სექტორის მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში, რომელზედაც მას მუშაობა სურს; - საბაზრო კონიუქტურის რისკი – საბანკო მომსახურებების ბაზრის კონიუქტურის ცვლილებებზე არათავისდროული რეაქციის რისკი; - მიმდინარე ოპერაციების ეფექტიანობის რისკი – მიმდინარე ოპერაციების არაეფექტურობის რისკი, რაც კორექტული ინფორმაციის და ბანკის საქმიანობის მომგებიანობის ოპერატიულად განსაზღვრის აუცილებლობას საჭიროებს. უფრო მეტად გავრცელებულ ფინანსურ რისკებს წარმოადგენენ: მსესხებლის გადახდისუნარიანობის, საკრედიტო, პროცენტული, სავალუტო, დაუბალანსებელი ლიკვიდურობის, ტექნოლოგიური, საკანონმდებლო, ინფლაციური, ფინანსური ბერკეტების რისკები. რისკებთან მიმართებაში მათზე მუდმივი ზედამხედველობის აუცილებლობა, მათი სიმრავლისაგან ისეთების გამოყოფის საჭიროება წარმოიქმნება, რომლებზეც შემცირების მიზნით მათზე ზემოქმედება არის შესაძლებელი. მაგრამ მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის გარემოება, რომ ყველაზე უფრო შემოსავლიანს სწორედ რისკიანი ოპერაციები წარმოადგენენ, ამიტომ ბანკის ლიკვიდურობისა და გადახდისუნარიანობის დაცვა ოპერაციის რისკიანობასა და შემოსავლიანობას შორის ოპტიმალური თანაფარდობის შემუშავებას საჭიროებს.

ბანკის საკრედიტო პოლიტიკა თავის თავში შემდეგ ელემენტებს მოიცავს: - მიზნების განსაზღვრას, რომელთაგან გამომდინარე ბანკის საკრედიტო პორტფელის ფორმირება ხორციელდება (სახეობები, ვადები, მოცულობა და უზრუნველყოფის ხარისხი); - ბანკის ქვედანაყოფების უფლებამოსილებების კრედიტების გაცემის, მომსახურებისა და დაფარვის პროცესში გამიჯვნას; - საჭირო საბუთების ჩამონათვალს; - კრედიტების უზრუნველყოფის მიღების, შეფასებისა და რეალიზაციის ძირითად წესებს; - დაკრედიტებასთან დაკავშირებული ოპერაციების ლიმიტირებას; - კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთების დადგენის პოლიტიკას; - საკრედიტო განცხადების შეფასების¹⁸მეთოდის; - პრობლემური კრედიტების დიაგნოსტიკის, მათი ანალიზისა და შექმნილი სიტუაციებიდან გამოსვლის გზების დახასიათებას. კომერციული ბანკის საკრედიტო პოლიტიკა – ბანკის კომპლექსურ ღონისძიებებს მოიცავს, რომელთა მიზანს – საკრედიტო ოპერაციების შემოსავლიანობის ამაღლება

¹⁸გაბისონია, საბანკო სამართალი, თბ., გამომც. "მერიდიანი", 2012. გვ. 105

და საკრედიტო რისკის შემცირება წარმოადგენს. საკრედიტო პოლიტიკის ფორმირებისას ბანკმა რიგი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები უნდა გაითვალისწინოს მაკროეკონომიკური ფაქტორები - ქვეყნის ეკონომიკის საერთო მდგომარეობა; - ეროვნული (ცენტრალური) ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა; - საქართველოს მთავრობის ფინანსური პოლიტიკა. რეგიონალური და დარგობრივი ფაქტორები - ეკონომიკის მდგომარეობა ბანკის მიერ მომსახურების რეგიონებში და დარგებში; - კლიენტების შემადგენლობა, მათი მოთხოვნილება კრედიტებში; - ბანკი - კონკურენტების არსებობა. შიდა საბანკო ფაქტორები - ბანკის საკუთარი სახსრების (კაპიტალის) სიდიდე; - პასივების სტრუქტურა; - პერსონალის შესაძლებლობები და გამოცდილება. . ბანკის საკრედიტო პოლიტიკის განმსაზღვრელი ფაქტორები დასკვნის სახით შეიძლება აღვნიშნოთ, რომ კომერციული ბანკის პასიური ოპერაციებით წარმოიქმნება ბანკის რესურსები, ხოლო აქტიური ოპერაციებით ბანკი ამ რესურსებს იყენებს მოგების მიღების მიზნით.

დაკრედიტების სუბიექტისაგან დამოკიდებულებაში კრედიტებს განასხვავებენ: სახელმწიფო და არასახელმწიფო საწარმოებზე და ორგანიზაციებზე, ინდივიდუალური შრომით დასაქმებულ მოქალაქეებზე, სხვა ბანკებზე, ხელისუფლების ორგანოების ჩათვლით დანარჩენ მეურნეებზე, ერთობლივ საწარმოებზე, საერთაშორისო გაერთიანებებზე და ორგანიზაციებზე. დანიშნულების მიხედვით კრედიტებს განასხვავებენ: სამომხმარებლო, სამრეწველო, სავაჭრო, სასოფლო-სამეურნეო, საინვესტიციო, საბიუჯეტო. გამოყენების სფეროს მიხედვით კრედიტები დაიყოფა: წარმოების სფეროში და მიმოქცევის სფეროში. გამოყენების ვადების მიხედვით კრედიტები შეიძლება დაიყოს: მოთხოვნებამდე და ვადიანებად, რომლებიც იყოფა მოკლევადიანებად, საშუალოვადიანებად და გრძელვადიანებად. მოცულობის მიხედვით კრედიტებს განასხვავებენ: მსხვილი, საშუალო და მცირე (მიკრო) მოცულობის სახით. არსებობს კრედიტების შემდეგი სახეობებიც: კომერციული კრედიტი, ლომბარდული კრედიტი, სათამასუქო კრედიტი, კრედიტი ოვერდრაფტი, საერთაშორისო კრედიტი და სხვ. საბანკო ლიკვიდობა ტერმინი ლიკვიდობა წარმოდგება ლათინური სიტყვა Liquidus-დან, რაც თხევადს, გამდინარეს ნიშნავს.

საფინანსო-საბანკო ლექსიკონში ლიკვიდობა განისაზღვრება, როგორც „ბანკის უნარი, უზრუნველყოს თავისი ვალდებულებების დროული შესრულება“. ბანკის ბალანსის ლიკვიდობა ეკონომიკურ ლიტერატურაში შემდეგნაირად განისაზღვრება: ბალანსი ითვლება ლიკვიდურად, თუ მისი მდგომარეობა შესაძლებლობას იძლევა, აქტივის სახსრების სწრაფი რეალიზაციით დროულად და სრულად დაითაროს პასივის ვალდებულებები. ბანკის ლიკვიდობაზე მოქმედებს რიგი ფაქტორებისა. ზოგიერთი მათგანი აშკარაა, მათი ზემოქმედება უეჭველი, სხვები ახდენენ ზემოქმედებას ბანკის ლიკვიდობაზე ირიბად, ამიტომ მათი გამოვლენა შესაძლებელია მხოლოდ შესაბამისი ანალიზის შემდგომ. ვალდებულებათა თავისდროული შესრულებისათვის აუცილებელია მაქსიმალური შესაბამისობა ბანკის მოზიდული პასივებისა და დაბანდების ვადების მიხედვით ისე, რომ აქტივების რეალიზაცია დროის ნებისმიერ მონაკვეთში საკმარისი იყოს იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს ბანკის მენაბრეთა მოთხოვნილებები და ვუპასუხოთ იმ დანარჩენი ვალდებულებების მიხედვით, რომელთა ვადაც დადგა. ზემოაღნიშნული დაბალანსებულობის გარეშე ბანკის ნორმალურ მუშაობაზე საუბარი ზედმეტია, ამიტომ ის დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა საბანკო პოლიტიკის პირველსაფუძვლად. ბანკებს, რომლებსაც აქვთ თავისი პასივების ნაწილში გრძელვადიანი წყაროები, შეუძლიათ განახორციელონ საინვესტიციო ოპერაციები და გასცენ გრძელვადიანი სესხები, ხოლო იმ ბანკებს, რომელთა სარესურსო ბაზასაც მოკლევადიანი სახსრები შეადგენენ, შეუძლიათ განახორციელონ მხოლოდ მოკლევადიანი ოპერაციები.¹⁹

ბანკის ლიკვიდობის შეფასებით დაინტერესებულნი არიან: - ცენტრალური ბანკი, რომელიც ახორციელებს ფულად-საკრედიტო რეგულირებას სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის რეალიზაციის მიზნით; - ბანკის აქციონერები, დაინტერესებულნი ბანკის საწესდებო კაპიტალში ჩადებული საკუთარი სახსრების შენარჩუნებითა და მომრავლებით; - კრედიტორები და მენაბრეები, რომლებმაც ანდეს ბანკს დროებით თავისუფალი სახსრები; - ბანკის ხელმძღვანელობა და პერსონალი, რომლებიც პასუხისმგებელი არიან კრედიტირებისა და მენაბრეების

¹⁹გ. გაბისონია, საბანკო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2012. გვ. 105

წინაშე მათი სახსრების დაცულობაზე; - პოტენციური პარტნიორები (მ.შ. უცხოელი), რომელთა წინაშეც ღვას ბანკთან თანამშრომლობის მიზანშეწონილობის შეფასების პრობლემა. რამდენადაც საბანკო ლიკვიდობაზე გავლენას ახდენს სხვადასხვა ფაქტორი; იმ მაჩვენებელთა სისტემამ, რომელიც აუცილებელია კომერციული ბანკის ლიკვიდობის შეფასებისათვის, მაჩვენებელთა შემდეგი ჯგუფები უნდა მოიცვას: - საკუთარი სახსრების საკამრისობის მაჩვენებლები; - აქტიური და პასიური ოპერაციების, მათი განხორციელების ვადებისა და შინაარსის მიხედვით ურთიერთმიმართების მაჩვენებლები; - აქტივების ხარისხის, ცალკეული აქტიური ოპერაციების რისკიანობის დონის მაჩვენებლები; - მაჩვენებლები, რომლებიც ახასიათებენ მოზიდულ სახსრებს: დეპოზიტური ოპერაციების დივერსიფიკაციის დონე, მოზიდული რესურსების მოცულობა და ხარისხი; - მომგებიანობის, რენტაბელობის მაჩვენებლები. საქართველოს ეროვნული ბანკი დღეისათვის აკონტროლებს ლიკვიდობის სამი სავალდებულო ნორმატივის შესრულებას: 1) ლიკვიდური აქტივების თანათვარდობა საერთო ვალდებულებებთან; 2) მიმდინარე აქტივების თანათვარდობა მიმდინარე ვალდებულებებთან; 3) საშუალოთვითური ლიკვიდური აქტივების თანათვარდობა საშუალოთვითურ საერთო ვალდებულებებთან. გარდა ამისა, იმ ბანკებში, სადაც აქციონერად ან კრედიტორად გვევლინება ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი, ასევე სავალდებულოა ლიკვიდური აქტივების საერთო აქტივებთან თანათვარდობის ნორმატივის დაცვა. ამას გარდა, ყოველ მაჩვენებელს, რომელსაც აქვს ნორმატიულად დადგენილი შეზღუდვები, უნდა ჰქონდეს კრიტერიული დონე, დადგენილი ყოველი ბანკის მიერ დამოუკიდებლად, გამომდინარე იქიდან, თუ როგორია ფუნქციონირების კონკრეტული პირობები და სტრატეგიული მიზნები, დასახული საკუთარი ლიკვიდობის მართვის შიდა საბანკო ორგანოების მიერ.

2.1.3. კრედიტის განვითარების ძირითადი ეტაპები

სიტყვა კრედიტი ლათინურად მხარეთა შორის ნდობაზე დამყარებული ეკონომიკური ურთიერთობის გამოხატულებას წარმოადგენს იგი ფულადი ან ნატურალური სახით გაცემულ სესხს ნიშნავს.

ასეთი სესხის ძირითადი მიზანია გამსესხებლისთვის სარგებლის მიღება, მსესხებლის ინტერესი კი მეორე ხარისხოვანია. სესხი იმიტომ კი არ გაიცემა, რომ მისმა მიმღებმა გაიუმჯობესოს მდგომარეობა არამედ იმიტომ, რომ ასეთი მოქმედებით შემოსავლის წყარო შეიქმნას მისმა გამცემმა.

ისტორიულად კრედიტებს გასცემდნენ საზოგადოების ყველაზე მდიდარი ფენები თავდაპირველად ნატურალური ფორმით, ხოლო შემდეგ ფულადი ფორმით. ადრინდელ ფორმაციაში ის სავაზო ფორმას ათარებდა, რაც შეეხება სავაზო სესხს იგი სარგებლის მიღების მიზნით გაცემული სესხია.

რაც შეეხება კონკრეტულად კრედიტის გაცემას და მასზე მოთხოვნას იგი საკუთრების გაჩენას უკავშირდება. თავდაპირველად, როგორც ვთქვი მას უფრო მევახშობითი ურთიერთობის ხასიათი ჰქონდა, მევახშეებად კი გამოდიოდნენ ვაჭრები, მსხვილი მიწათმფლობელები ბარათები და სამღვდლოება მსესხებლებლად კი ხელოსნები და დამწყები ვაჭრები.

სახელმწიფო უმეტესად მევახშეთა უფლებებს იცავდა მაგალითად ძველ რომში თუ მოვალე დროზე არ გადაიხდიდა ვალს კრედიტორს შეეძლო იგი ბაზრობის დღეებში მოეკლა ეს იყო გათვალისწინებული 12 ტაბულის კანონით საქართველოში კი ვახტანგ მეექვსის სამართლის წიგნის მიხედვით პროცენტი უნდა ყოფილიყო სესხის მინიმუმ 12 ხოლო მაქსიმუმ 120.

კრედიტის ფუნქციები თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში გავრცელებულია აზრი, რომ კრედიტის როლი და ადგილი განისაზღვრება, უპირველეს ყოვლისა მისი შესრულებული ფუნქციებით. კრედიტების თეორიაში, კრედიტის ფუნქციების რაოდენობისა და შემადგენლობის შესახებ შეხედულებათა ერთიანობა არ არის. კრედიტის ფუნქცია ახასიათებს იმ საქმიანობას, რომელსაც კრედიტორი და მსესხებელი ასრულებს საკრედიტო ურთიერთობების პროცესში.

გავრცელებულია მოსაზრება, რომ კრედიტი შემდეგ ექვს ძირითად ფუნქციას ასრულებს:

- 1) გამანაწილებელი ფუნქცია;
- 2) მიმოქცევის დანახარჯების ეკონომიის ფუნქცია;
- 3) კაპიტალის კონცენტრაციის დაჩქარების ფუნქცია;
- 4) საქონელბრუნვის მომსახურების ფუნქცია;
- 5) სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ფუნქცია;
- 6) მიმოქცევის საკრედიტო იარაღების შექმნის ფუნქცია.

მოკლედ განვიხილოთ თითოეული მათგანი. გამანაწილებელი ფუნქცია. თანამედროვე პირობებში სასესხო კაპიტალის ბაზარი ისეთ როლში გამოდის, როდესაც სამეურნეო საქმიანობის ერთი სფეროდან (ან სფეროებიდან) დროებით თავისუფალი ფინანსური რესურსების სხვა სფეროში «გადადინება» ხორციელდება, რითაც უფრო მაღალი მოგების მიღების შესაძლებლობა ჩნდება. ამ ფუნქციის შესრულებისას დარგობრივ ტერიტორიალურ და სანარმოთა დონეზე, როგორც საკრედიტო ურთიერთობების სუბიექტებს შორის ღირებულების გადანაწილება ხორციელდება. კრედიტი ამ შემთხვევაში დინამიურად განვითარებად ობიექტებში კაპიტალის დაბანდებით დამატებით ფინანსურ რესურსებზე მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების უზრუნველყოფას ახორციელებს და ეკონომიკის სტიქიური მაკრორეგულატორის როლში გამოდის. მიმოქცევის დანახარჯების ეკონომიის ფუნქცია. მოცემული ფუნქციის პრაქტიკული რეალიზაცია, უშუალოდ კრედიტის ეკონომიკური არსიდან გამომდინარეობს, რომლის ასევე სამრეწველო და სასაქონლო კაპიტალების წრებრუნვის პროცესში დროებით გამოთავისუფლებული ფინანსური რესურსებიც გამოდის. მეურნე სუბიექტების ფულადი სახსრების შემონატანებსა და ხარჯებს შორის დროებითი განსხვავება შეიძლება როგორც ფინანსური რესურსების სიჭარბით, ასევე ნაკლებობითაც გამოიხატოს. სწორედ ამიტომ მაკუთარი საბრუნავი რესურსების დროებით უკმარისობის შესავსებად ფართო გამოყენებას ღებულობს ისეთი სახეობების სესხები, რასაც პრაქტიკულად ყველა კატეგორიის მსესხებლები იყენებენ და ამით კაპიტალის ბრუნვადობის არსებითი

დაჩქარება, აქედან გამომდინარე კი – მიმოქცევის საერთო დანახარჯების ეკონომიაც მიიღწევა. კაპიტალის კონცენტრაციის დაჩქარების ფუნქცია.²⁰

კაპიტალის კონცენტრაციის პროცესი ეკონომიკის სტაბილური განვითარებისა და ნებისმიერი მეურნე სუბიექტის პრიორიტეტულ მიზანს წარმოადგენს. ამ ამოცანის გადაწყვეტაში რეალურ დახმარებას ნასესხები სახსრები ახორციელებენ, რაც წარმოების პროცესების (ან სხვა სამეურნეო ოპერაციების) მასშტაბების – არსებითად გაფართოებას და ამით მოგების დამატებითი მასის უზრუნველყოფას უწყობს ხელს. საქონელბრუნვის მომსახურების ფუნქცია. აღნიშნული ფუნქციის რეალიზაციისას კრედიტი აქტიურად ზემოქმედებს არა მარტო სასაქონლო, არამედ ფულადი მიმოქცევის დაჩქარებაზე და ამით ფულადი მიმოქცევიდან ნაღდი ფულის გამოდევნას ახორციელებს. ფულად მიმოქცევაში ისეთი ინსტრუმენტების დამკვიდრებით, როგორებიცაა თამასუქები, ჩეკები, საკრედიტო ბარათები და ა.შ., იგი უზრუნველყოფს ნაღდი ფულით ანგარიშსწორების უნაღლო ოპერაციებით ჩანაცვლებას, რაც შიდა და საერთაშორისო ბაზრებზე ეკონომიკური ურთიერთობების მექანიზმს ამარტივებს და აჩქარებს. ამ ამოცანის გადაწყვეტაში აქტიურ როლს თამაშობს კომერციული კრედიტი, როგორც საქონელგაცვლის თანამედროვე ურთიერთობების აუცილებელი ელემენტი. სამეცნიერო – ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ფუნქცია. ამ ფუნქციის შესრულებაში კრედიტის როლი ჩანს სამეცნიერო-ტექნიკური ორგანიზაციის საქმიანობის დაფინანსების პროცესის მაგალითიდან, რომლის ²¹სპეციფიკურობას ყოველთვის წარმოადგენდა და წარმოადგენს კიდევაც კაპიტალის სანყის დაბანდებასა და მზა პროდუქციის რეალიზაციას შორის დროებით უფრო მეტი გარღვევა, ვიდრე სხვა ნებისმიერ დარგებში. ამიტომ სამეცნიერო ცენტრების უმეტესობის ნორმალური ფუნქციონირება საკრედიტო რესურსების გამოყენების გარეშე შეუძლებელია. კრედიტი ასევე აუცილებელია ნოვაციური პროცესების განსახორციელებლად, წარმოებაში სამეცნიერო სიახლეებისა და ტექნოლოგიების უშუალოდ დასაწერად. მიმოქცევის საკრედიტო იარაღების შექმნის ფუნქცია. მისი განვითარება საბანკო სისტემის განვითარებასთან არის დაკავშირებული. ფულის საბანკო ანგარიშზე შენახვამ

²⁰ რ.შენგელია, ე.შენგელია, „საბანკო საართლის საფუძვლები, თბ., გამომც. „სამართალი“, 2014. გვ.373

²¹ რ.შენგელია, ე.შენგელია, „საბანკო საართლის საფუძვლები, თბ., გამომც. „სამართალი“, 2014. გვ.374

საქონელზე და მომსახურებაზე, სხვა სახის ფულადი ვალდებულებების უნაღლო ანგარიშსწორების განხორციელების შესაძლებლობა წარომშვა, რამაც მნიშვნელოვნად შეამცირა ნაღდი-ფულადი ბრუნვა და აქედან გამომდინარე, მიმოქცევის დანახარჯებიც, რომელიც ნაღდი ფულის დაბეჭვდასთან, გადათვლასთან, ტრანსპორტირებასთან (ინკასაცია) და დაცვასთან არის დაკავშირებული. კრედიტის ფუნქციების განსხვავებული კლასიფიკაცია მოცემულია ქართულ ეკონომიკურ ლიტერატურაში (რ. კაკულია. გ. ხელაია, ფულის მიმოქცევისა და კრედიტის ზოგადი თეორია, თბ. 2002), რომელიც წარმოდგენილია შემდეგი სახით: 1) ფულადი კაპიტალისა და მობილიზაციის; 2) ფულადი კაპიტალის გადანაწილების; 3) მიმოქცევის ხარჯების ეკონომიის; 4) კაპიტალის კონკურენციისა და ცენტრალიზაციის; 5) საბაზრო ეკონომიკის რეგულირების. კრედიტის ფორმები ეკონომიკურ ლიტერატურაში არ არსებობს კრედიტების ერთიანი კლასიფიკაცია. ეს დაკავშირებულია განსხვავებასთან სხვადასხვა ქვეყნებში ფულად ურთიერთობათა, საკრედიტო სისტემის, საბანკო სისტემის განვითარების დონეში, ასევე მათში ჩამოყალიბებული კრედიტების გაცემის მეთოდებში. გასესხებულ ღირებულებასთან დამოკიდებულებაში განასხვავებენ კრედიტის საქონლურ, ფულად და შერეულ (ფულადსაქონლური) ფორმებს. კრედიტის საქონლური ფორმა წინ უსწრებდა ფულად ფორმას. ისტორიულად პირველი კრედიტორები, იყვნენ რომლებსაც ჭარბი სამომხმარებლო საქონელი გააჩნდათ და გასცემდნენ მას სესხის სახით. კრედიტის თანამედროვე საქონლურ ფორმას წარმოადგენს საქონლის ნისიად გაცემა. ამ შემთხვევაში საყურადღებოა ის გარემოება, რომ კრედიტორი განიცდის ფულის საჭიროებას, ამიტომ იგი იძულებულია განვადებით გასცეს საქონელი და ვადის გასვლის შემდეგ ანაზღაურება მიიღოს ფულადი ფორმით. თანამედროვე განვითარებული ქვეყნების ეკონომიკისათვის ტიპურია კრედიტის ფულადი ფორმა, რაც თავის მხრივ განპირობებულია იმით, რომ ფული წარმოადგენს საყოველთაო ექვივალენტს, მიმოქცევისა და გადახდის უნივერსალურ საშუალებას. კრედიტის ფულადი ფორმის განვითარების გარეშე წარმოუდგენელია თანამედროვე საბაზრო ურთიერთობები. თანამედროვე ეკონომიკისათვის ასევე დამახასიათებელია კრედიტის შერეული (ფულად-

საკრედიტო) ფორმა. კრედიტის ეს ფორმა ფართოდ გამოიყენება განვითარებადი ქვეყნების მეურნეობრივ ცხოვრებაში. მაგალითად, ქვეყნის შიდა ვაჭრობაში დომინირებს საქონლის ნისიად გაყიდვა და მისი ღირებულების კრედიტის ფულადი ფორმით დაბრუნება. საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობაში საექსპორტო საქონლის ღირებულების ანაზღაურება წარმოებს კრედიტის ფულადი ფორმით. იმის მიხედვით, საკრედიტო გარიგების დროს კრედიტორის როლში ვინ არის წარმოდგენილი, განასხვავებენ კომერციულ, საბანკო, სახელმწიფო და საერთაშორისო კრედიტებს. კომერციული კრედიტი ისეთი ფორმის კრედიტია, რომელსაც მწარმეები კვლავწარმოების პროცესში აძლევენ ერთმანეთს (საქონელი ნისიად). ამ ფორმის კრედიტს ხშირად სათამასუქო კრედიტს უწოდებენ. სამეურნეო პროექტებში გამოიყენება უბრალო თამასუქი (სოლო) და გადასაყვანი თამასუქი (ტრატა). საბანკო კრედიტისაგან ძირითადი განსხვავებები იმაში მდგომარეობს, რომ კრედიტორის როლში ნებისმიერი იურიდიული პირები შეიძლება გამოდიოდნენ (ფირმები, საწარმოები, კომპანიები), კომერციული კრედიტი მხოლოდ სასაქონლო ფორმით მიეწოდება; სასესხო კაპიტალი სამრეწველო და ²²სავაჭრო კაპიტალთან არის ინტეგრირებული. საბანკო კრედიტი არის ეკონომიკაში საკრედიტო ურთიერთობების ყველაზე მეტად გავრცელებული ფორმა, რომლის ობიექტს ფულადი სახსრების სესხად გაცემა წარმოადგენს. საბანკო სესხები შეიძლება ქვეყნის ცენტრალური (ეროვნული) ბანკის სპეციალური ლიცენზიის მქონე საკრედიტო-ფინანსური დაწესებულებების მეშვეობით გაიცეს. მისი კლასიფიკაცია ხორციელდება შემდეგი ნიშნების მიხედვით: დანიშნულების, გამოყენების სფერო, სარგებლობის ვადები, უზრუნველყოფა, გაცემის და დაფარვის მეთოდი, საპროცენტო განაკვეთის სახეობა. დანიშნულების მიხედვით საბანკო კრედიტი შეიძლება დაიყოს შემდეგ ჯგუფებად: სამრეწველო. სასოფლო-სამეურნეო, სავაჭრო, საინვესტიციო, იპოთეკური. სამრეწველო სესხები მიეცემათ საწარმოებსა და ორგანიზაციებს წარმოების განვითარებისათვის, მასალების შესაძენად, ხარჯების დასაფარავად და ა.შ. სასოფლო-სამეურნეო სესხები მიეცემათ ფერმერებს, გლეხურ მეურნეობებს მიწის დასამუშავებლად, მოსავლის ასაღებად და ა.შ. მათი საქმიანობის

²² ი. კავზანაძე თანამედროვე საბანკო საქმე, თეორია და პრაქტიკა, თბ., გამომც. „იურისტების სამყარო“, 2014. გვ.112

ხელშეწყობის მიზნით. სამომხმარებლო სესხები მიეცემათ ფიზიკურ პირებს გადაუდებელ საჭიროებათა დასაფარავად, ბინების, სახლების რემონტისათვის და ა.შ. იპოთეკური სესხები გაიცემა უძრავი ქონების დაგირავებით – საცხოვრებლის მშენებლობის, შექმნის ან რეკონსტრუქციის მიზნით.

გამოყენების სფეროს მიხედვით საბანკო კრედიტები შეიძლება იყოს ორი სახეობის: სესხები ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის დასაფინანსებლად. თავის მხრივ კრედიტები კაპიტალში იყოფა კრედიტებად საბრუნავ სფეროსა და ბრუნვის (მიმოქცევის) სფეროში. სარგებლის ვადების მიხედვით საბანკო კრედიტები შეიძლება იყოს ონკოლური (მოთხოვნამდე) და ვადიანი. ონკოლური სესხები ექვემდებარება დაბრუნებას ფიქსირებულ ვადაში კრედიტორისაგან ოფიციალური შეტყობინების მიღების შემდეგ. ისინი მოითხოვენ სტაბილურ პირობებს სასესხო კაპიტალის ბაზარზე. ვადიანი კრედიტები მიღებულია დაიყოს მოკლევადიან (1 წლამდე ვადით), საშუალოვადიან (1-5 წლამდე) და გრძელვადიან (5 წელზე მეტი ვადით) კრედიტებად. თანამედროვე საბანკო საქმეში უპირატესად გამოიყენება მოკლევადიანი კრედიტები. უზრუნველყოფის მიხედვით კრედიტები იყო არაუზრუნველყოფილად (საბლანკო) და უზრუნველყოფილად. საბანკო კრედიტები მიეცათ პირველხარისხიდან მსესხებლებს კრედიტის დაბრუნებითობის უზრუნველყოფის რაიმე ფორმის გამოყენების გარეშე. სესხის უზრუნველყოფა წარმოადგენს თანამედროვე საბანკო კრედიტის ძირითად სახესხვაობას. უზრუნველყოფის სახეობაზე დამოკიდებულებით მიღებულია მათი დაყოფა ს²³აგირაფნობად, გარანტირებულად და დაზღვეულებად. გაცემის ხერხის მიხედვით საბანკო კრედიტები შეიძლება დაიყოს კრედიტებად, რომლებიც ატარებენ კომპენსაციურ ან საგადასახდლო ხასიათს, კომპენსაციური კრედიტი გულისხმობს სასესხო სახსრების მიმართვას მსესხებლის ანგარიშსწორების ანგარიშზე მის მიერ ადრე განეული ხარჯების ანაზღაურების მიზნით. საგადასახდლო კრედიტების არსი ისაა, რომ მსესხებელი აუცილებლობისდა მიხედვით გადასცემს ბანკს მასთან შემოსულ საანგარიშო საგადასახდლო დოკუმენტებს და სასესხო სახსრები მიემართება უშუალოდ მოცემული დოკუმენტების გასანაღდებად.

²³ რ.შენგელია, ე.შენგელია, საბანკო საართლის საფუძვლები, თბ., გამომც. „სამართალი“, 2014. გვ 375

დაფარვის ხერხის მიხედვით საბანკო კრედიტები იყოფა სესხებად, რომლებიც იფარება ერთდროულად და სესხებად, რომლებიც იფარება ნაწილ-ნაწილ. სესხები, რომლებიც იფარება ერთდროული გადახდით, წარმოადგენს მოკლევადიანი კრედიტის დაბრუნების ტრადიციულ ფორმას, რამეთუ მოსახერხებელია იურიდიული გაფორმების პოზიციიდან. სესხები, რომლების იფარება ნაწილ-ნაწილ, გულისხმობს კრედიტის დაფარვას ორი ან მეტი გადასახდელით დაკრედიტების მთელი ვადის განმავლობაში. საპროცენტო განაკვეთების სახეობის მიხედვით საბანკო კრედიტები შეიძლება დაიყოს კრედიტებად ფიქსირებული ან მცურავი საპროცენტო განაკვეთით. სესხები ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით გულისხმობს დაკრედიტების მთელი პერიოდისათვის საპროცენტო განაკვეთის განსაზღვრული სიდიდის დანესებას მისი გადასინჯვის უფლების გარეშე. მოცემულ შემთხვევაში მსესხებელი იღებს თავის თავზე ვალდებულებას, გადაიხადოს პროცენტი უცვლელი შეთანხმებული განაკვეთით იმისგან დამოუკიდებლად, თუ კაპიტალის ბაზარზე რა ცვლილებები მოხდება. დაკრედიტება მცურავი განაკვეთით გულისხმობს საპროცენტო განაკვეთის გამოყენებას, რომლის მოცულობაც პერიოდულად გადასინჯება. მოცემულ შემთხვევაში საპროცენტო განაკვეთი იქმნება ორი შემადგენელი ნაწილისაგან. ძირითადი განაკვეთი, რომელიც იცვლება ბაზრის კონიუნქტურაზე დამოკიდებულებით და დანამატისაგან, რომელიც წარმოადგენს ფიქსირებულ სიდიდემ.

დაკრედიტების პრინციპი, საკითხს დაკრედიტების პრონციპების შესახებ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, ხოლო თეორიულად საკმაოდ რთულია. ეკონომისტების უმრავლესობა აღიარებს დაკრედიტების ისეთ პრინციპებს, როგორცაა: დაბრუნებითობა, ვადიანობა, მიზნობრიობა, უზრუნველყოფა, ანაზღაურებადობა. დაბრუნებითობის პრინციპი ითვალისწინებს კრედიტორსა და მსესხებელს შორის დადებული საკრედიტო გარიგების შესაბამისად კრედიტის დაბრუნების აუცილებლობას იმ ვადაში, რაც კონტრაქტით არის გათვალისწინებული. იმის გამო, რომ კრედიტორი – გამსესხებელი გასესხებულ თანხაზე საკუთრების უფლებებს ინარჩუნებს, ხოლო მსესხებელს ეძლევა სესხის დროებით გამოყენების უფლება, არ შეიძლება კრედიტორსა და მსესხებელს გარიგება უვადო იყოს. გარიგების

ხელშეკრულებაში სესხის სარგებლის ვადა რეგლამენტირებულია, რომლის გასვლის შემდეგ კრედიტის მთელი თანხა სარგებელთან ერთად უბრუნდება კრედიტორს. ვადიანობის პრინციპი უზრუნველყოფს გასესხებულ სახსრების თავისდროულად დაბრუნებას. ის მონიშნავს განსაზღვრულ, როგორც კრედიტის გამოყენების დროითი საზღვრებს, ასევე მისი დაბრუნების კონკრეტული ვადები. ვადიანობის პრინციპი მიმართულია საგადასახდლო დისციპლინის განმტკიცებისაკენ. მიზნობრიობის პრინციპი გულისხმობს კრედიტის გაცემას და გამოყენებას წინასწარ დადგენილი მიზნობრივი დანიშნულებით, კრედიტის გამოყენებისას მიზნობრიობის დარღვევა მაღალი საკრედიტო რისკის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორია. უზრუნველყოფის პრინციპი ასრულებს განსაკუთრებულ როლს საკრედიტო ურთიერთობათა სფეროში, რადგან ის არამართო იმყოფება მჭიდრო ურთიერთკავშირში სხვა პრინციპებთან, არამედ თამაშობს მათ მიმართ განსაზღვრულ როლს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა გაცემული კრედიტი როდია დაკავშირებული უშუალოდ მატერიალურ უზრუნველყოფასთან. ამ შემთხვევაში კრედიტის დაბრუნებობის უზრუნველყოფის მთავარი პირობაა სანარმოოს ფინანსური მდგომარეობა, მისი კრედიტუნარიანობა. ანაზღაურებადობის (ფასიანობის) პრინციპი გულისხმობს კრედიტის სარგებლობისათვის სათანადო საზღაურის, სესხის სარგებელს. სესხის სარგებელი (პროცენტი) მოგების ნაწილია, რომელსაც მსესხებელი უხდის კრედიტორს – სასესხო კაპიტალის მესაკუთრეს. სესხის სარგებლის სიდიდე დამოკიდებულია კრედიტის მოთხოვნასა და მინოდების შორის თანაფარდობაზე. სწორედ ამის გამო სარგებლის ნორმა ცვალებადი სიდიდეა. ჩვენ ზემოთ განვიხილეთ დაკრედიტების ძირითადი პრინციპები, ეკონომიკურ ლიტერატურაში ასევე ვხვდებით დაკრედიტების დამატებით პრინციპებსაც. კერძოდ როგორცაა: დიფერენცირება, ეფექტიანობა, საკრედიტო სახსრების დაცულობა და სხვა.

2.1.4. კომერციული კრედიტი

²⁴ რ.შენგელია, ე.შენგელია, საბანკო საართლის საფუძვლები თბ., გამომც. „სამართალი“, 2014. გვ 376

სამწარმო ურთიერთობათა სუბიექტებს თავიანთი საქმიანობის განხორციელების პროცესში უხდებათ არამართო ფულადი სახსრების სესხად მიღება, არამედ სხვადასხვა სახის მატერიალური ობიექტების(ნედლეული, მასალები, ტექნიკური საშუალებები და სხვა)დროებითი ნაკლებობების შევსება პარტნიორი ან სხვა მწარმეთა დახმარებით.

საქონლის სესხად მიცემა კომერციული კრედიტის მეშვეობითაა შესაძლებელი. საბაზრო მეურნეობის პირობებში კომერციული კრედიტის გამოყენებას აწარმოო პროცესების უწყვეტობისა და შემდგომი განვითარების ერთ-ერთ მყარ გარანტიას წარმოადგენს. კრედიტის ამ ფორმის დროს მწარმეები ერთმანეთს ნისიად აძლევენ საქონელს. კრედიტორებად კი გამოდიან ის საწარმოები, რომელთაც გააჩნიათ საქონლის გამოყენებელი მარაგი და სურვილი აქვთ სხვებს მიანოდონ დროებით და განსაზღვრული საფასურით.

კომერციული როგორც უკვე აღვნიშნე არის კრედიტის ერთ-ერთი სახეობა, რომელსაც მწარმეები კვლავწარმოების პროცესში აძლევენ ერთმანეთს (საქონელი ნისიად). ამ ფორმის კრედიტს ხშირად სათამასუქო კრედიტს უწოდებენ. სამეურნეო პრაქტიკაში გამოიყენება უბრალო თამასუქი (სოლო) და გადასაყვანი თამასუქი (ტრატა). საბანკო კრედიტისაგან ძირითადი განსხვავებები იმაში მდგომარეობს, რომ კრედიტორის როლში ნებისმიერი იურიდიული პირები შეიძლება გამოდიოდნენ (ფირმები, საწარმოები, კომპანიები), კომერციული კრედიტი მხოლოდ სასაქონლო ფორმით მიეწოდება; სასესხო კაპიტალი სამრეწველო და სავაჭრო კაპიტალთან არის ინტეგრირებული. საბანკო კრედიტი არის ეკონომიკაში საკრედიტო ურთიერთობების ყველაზე მეტად გავრცელებული ფორმა, რომლის ობიექტს ფულადი სახსრების სესხად გაცემა

²⁵ კომერციულ კრედიტად მიიჩნევა სავაჭრო კრედიტიც, რომელიც ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში საქონლის ნისიად გაყიდვის დროს, მისი ღირებულების მოგვიანებით გადახდას გულისხმობს. საქართველოს

²⁵ ზ. გაბისონია, საბანკო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2012. გვ. 105

სამოქალაქო კოდექსის 505-ემუხლის მიხედვით განვადებით ნასყიდობისას გამყიდველი ვალდებულია გადასცეს ნივთი მყიდველს ფასის გადახდამდე .

საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის ხანგრძლივმა ურთიერთობამ საკმაო საფუძველი შექმნა იმისთვის,რომ არამართო გაყიდული საქონლის გადახდა დამკვიდრებულიყო პრაქტიკაში,არამედ კომერციული კრედიტის სხვა სახეების გამოყენების შესაძლებლობაც გაჩენილიყო,უპირველეს ყოვლისა,მხედველობაშია ფულადი კრედიტი.დღეს ფულად კრედიტს მართო ბანკები და არასაბანკო დაწესებულებები არ გასცემენ.ფულადი კრედიტის გაცემა შეუძლია ნებისმიერ სამეწარმეო სუბიექტს,რომელსაც დროებით თავისიუფალი სახსრები გააჩნია.მათი ურთიერთდაკრედიტება საბაზრო მეურნეობის პირობების ჩვეულებრივი მოვლენაა.

სამეწარმეო საქმიანობის პროცესში საწარმოების ერთ ნაწილს სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო საქონელი მზად აქვს სარეალიზაციოდ იმ დროს, როდესაც მეორე ნაწილს ჯერ კიდევ არ გააჩნია ფულადი სახსრები ბაზარზე გატანილი საქონლის შესაძენად.მსგავს შემთხვევებში ნაღდი ფულით ყიდვა გაყიდვა ორივე მხარისთვის არის შეფერხებული, გამყიდველს ფული სჭირდება მყიდველს კი ფული არ აქვს ამ დროს ყველაზე კარგი ალტერნატივა არის კომერციული კრედიტის ამოქმედება.საქონლის განვადებით გაყიდვისას მყიდველს შეუძლია მანამდე შეიძინოს ნივთი, სანამ მას ფული გამოუჩნდება.გამყიდველი კი სხვისგან აღებული კრედიტით შეიძენს მისთვის აუცილებელ საქონელს,ხოლო მოგვიანებით მყიდველისგან მიღებული ფულით აღებულ ვალს გაისტუმრებს.გადახდის განვადებისთვის საზღაურის ოდენობა განისაზღვრება გამყიდველისა და მყიდველის ურთიერთშეთანხმებით.

კომერციული კრედიტისთვის დამახასიათებელ ძირითად თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მისი ობიექტია ყიდვა-გაყიდვასთან მჭიდრო კავშირში მყოფი საქონელი.ასეთ შემთხვევაში არ ხდება საქონლის ღირებულების ნაღდი ფულით მაშინვე გადახდა.ამიტომ საქონლის გამყიდველი ყოველთვის კრედიტორია,რომელსაც გაყიდული საქონლის ღირებულების გადახდის მოთხოვნის უფლება გააჩნია ხოლო მყიდველს მისი ვალდებულებების შესრულება ეკისრება.

²⁶საქონლის განვადებით ყიდვა მოიცავს ნასყიდობის ხელშეკრულებასთან ერთად კომერციული კრედიტის თაობაზე მხარეთა შორის მიღწეულ შეთანხმებასაც. მნიშვნელოვანია აგრეთვე იმის აღნიშვნაც, რომ კომერციული კრედიტის გამოყენება შეზღუდულია სხვა კრედიტის სახეებთან შედარებით.

²⁷ კომერციული კრედიტის გავრცელებული სახეა თამასუქი. იგი წარმოადგენს წერილობით გაფორმებულ ვალდებულებას გადაიხადოს თამასუქში მითითებული თანხა პირადად ან სხვა პირს დაავალოს მისი გადახდა. თამასუქი ფასიანი ქალაქია და სავალო საბუთია, რომელშიც აბსტრაქტული ხასიათის გამო არ აღინიშნება ვალის წარმოშობის საფუძველი.

თამასუქის, როგორც ფასიანი ქალაქის, მიმოქცევის სიმარტივე, აგრეთვე მასში მითითებული თანხის გადახდის გარანტირებულობის მექანიზმის წარმატებულად გამოყენების შესაძლებლობამ სათამასუქო კრედიტის გავრცელება განაპირობა, არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებშიც.

2.1.5. სესხი და საბანკო კრედიტი

²⁸სესხი არის ფულის ან ქონების დროებითი გადაცემა სხვისთვის. მას საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ორი თავი აქვს დათმობილი. სასესხო ოპერაციებს ახორციელებს საკრედიტო დაწესებულება, რომლისთვისაც სესხის გაცემას ალღება მის საწესდებო მოვალეობას წარმოადგენს. ეს კი ამგვარ საქმიანობა სასესხო ურთიერთობის შინაარსს აძლევს და განაპირობებს მას.

სესხის ხელშეკრულებაზეა პირველი თავი, რომელიც არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსში დათმობილი და ყურადღება მიქცეული არის (623-628) მუხლები ხოლო მეორე (867-873) მუხლები არის საბანკო კრედიტის შესახებ პირველ შემთხვევაში ყურადღება მახვილდება საყოფაცხოვრებო ხასიათის სასესხო ურთიერთობათა მარეგულირებელ ზოგად ნორმებზე, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს ყველა სახის სასესხო ურთიერთობის მიმართ მიუხედავად მასში

²⁶ რ. შენგელია, ე. შენგელია, საბანკო საართლის საფუძვლები, თბ., გამომც. „სამართალი“, 2014 . გვ 379

²⁷ იქვე, გვ. 379

²⁸ იქვე, გვ 349

მონაწილე სუბიექტების და წარმოშობის მიმართ მეორე შემთხვევაში კი სესხის სპეციიკურ სახესთან გვაქვს საქმე-სასესხო ოპერაციებს ახორციელებს საკრედიტო დაწესებულება ,რომლისთვისაც სესხის გაცემა ან აღება მის საწესდებო მოვალეობას წარმოადგენს.ეს კი ამგვარ საქმიანობას სასესხო ურთიერთობის შინაარს აძლევს და განამტკიცებს მას.

სესხის ხელშეკრულებასთან,როცა გვაქვს საქმე აუცილებელია ვახსენოთ ისიც,რომ ძალიან დიდ როლს თამაშობს ის მხარე ,რომელიც დაკავშირებულია მის მიზნობრიობასთან ანუ ის გარემოება თუ რა დანიშნულებით სესხულობს მსესხებელი ფულს ეს არის ის მთავარი პრიორიტეტი,რომლის შემდეგაც საფინანსო ინსტიტუტი ამ შემთხვევაში გამსესხებელი გასცემს თანხას ან არ გასცემს მასზე.ამაზე მეტყველებს ის ნორმატიული აქტებიც ,რომელიც მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ამ საკითხის სწორ განსაზღვრაში.

მიუხედავად იმისა,რომ სესხსა და კრედიტს შორის ძირითად დებულებათა თანდამთხვევა არსებობს საბანკო კრედიტი ხასიათდება თავისებურებებით ეს ის თავისებურებებია,რომელიც მას სესხისგან განასხვავებს,რაც შეეხება საერთოს სესხისა და საბანკო კრედიტის იდენტურობაზეა მინიშნებული ლაპარაკი,როდესაც საქმე გვაქვს ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის მიკროსესხების გაცემასთან.

საბანკო კრედიტი წარმოადგენს სესხის ხელშეკრულების სპეციალურ სახეს, რომლის მხარეები არიან ერთი მხრივ სპეციალური სუბიექტი – ბანკი ან სპეციალური ლიცენზიის მქონე ორგანიზაცია და მეორე მხრივ მსესხებელი, რომელიც შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი.

საბანკო კრედიტის ხელშეკრულება დადებულად ითვლება, მხარეთა მიერ შეთანხმების მომენტიდან და არა სესხის ფაქტობრივად გადაცემის მომენტიდან, როგორც ეს არის სესხის ხელშეკრულების შემთხვევაში.

საბანკო კრედიტის ხელშეკრულების სესხის გვარეობითი ჯგუფისადმი მიკუთვნება ნიშნავს სესხის ხელშეკრულებით მოქმედი წესების შესაბამისი ურთიერთობისადმი სუბსიდიალური გამოყენების შემთხვევებს.,როცა საკრედიტო ხელშეკრულება კარგავს მისი ცალკე სახედ გამოყოფის თავისებურებს ან ისინი

მკვეთრად არ არის გამოყოფილი შეიძლება იგი გადაკვალიფიცირდეს ,როგორც სესხის ხელშეკრულება.²⁹

მაგალითად როცა საუბარი იმაზეა თუ რაშემთხვევაში შეიძლება საკრედიტო ხელშეკრულება დაკვალიფიცირდეს სესხის ხელშეკრულებლად ეს ხდება მაშინ ,როცა გამსესხებელი გასცემს მსესხებელზე თანხას,მაგრამ გამსესხებელი საფინანსო ინსტიტუტი არ არის ეს კი არის კლასიკური სესხის ხელშეკრულების მაგალითი და არა საბანკო კრედიტის ან სხვა რაიმე სახის კრედიტის.

ამგვარად საბანკო კრედიტი და საკრედიტო ურთიერთობები ეკონომიკური შინაარსის კატეგორიებია და სამოქალაქო სამართალში მათ ყველაზე შეესაბამება სესხი და სასესხო ვალდებულებანი.

სესხის ხელშეკრულება მოიცავს ყველა იმ სამართლებრივ ურთიერთობას,რომელთა ფარგლებშიც ხდება სესხის ობიექტის ერთი პირიდან მეორეზე გადაცემა და მისი მსგავსის უკან დაბრუნება ასევე საგულისხმოა ისიც ,რომ სესხის ხელშეკრულების დროს დაწესებულია შეზღუდვები,რომელთაც დაცვა სჭირდებათ.³⁰

სესხის ხელშეკრულება იმდენად ფართო და მრავალმხრივ საზოგადოებრივ ურთიერთობებს მოიცავს,რომ მათი ერთგვაროვანი სამართლებრივი რეგულირება შეუძლებელია.მიუხედავად იმისა ,რომ სესხის რამოდენიმე ნაირსახეობა(ფულადი,სანივთო,იპოთეკური , სალომბარდო)არსებობს.მათ მიმართ კი გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მესამე წიგნის (სახელშეკრულებლო სამართალი)კერძო ნაწილის მეცხრე თავში სესხთან დაკავშირებული ზოგადი ნორმები.

კრედიტი ყოველთვის სასყიდლიანია და მისი საგანია მხოლოდ ფულადი თანხა, განსხვავებით სესხის ხელშეკრულებისგან, რომელიც შეიძლება იყოს უსასყიდლოც და მისი საგანი შეიძლება იყოს გვაროვნული ნივთებიც (მაგ: კარტოფილი, მარილი და ა.შ.)

²⁹ რ.შენგელია, ე.შენგელია, საბანკო საართლის საფუძვლები, თბ., გამომც. „სამართალი“ 2014. გვ . 352

³⁰ ი.კავზანაძე თანამედროვე საბანკო საქმე, თეორია და პრაქტიკა, თბ., გამომც. „იურისტების სამყარო“, 2014, გვ. 113

მხარეთა შეთანხმებით კრედიტისთვის შეიძლება განისაზღვროს მყარი ან ცვალებადი საპროცენტო განაკვეთი.

მყარი საპროცენტო განაკვეთი გულისხმობს მის უცვლელობას, ფულის სიმყარის მიუხედავად, ხოლო ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში, პროცენტი შეიძლება გაიზარდოს ან შემცირდეს ფულის სიმყარის შესაბამისად.

პროცენტის განსაზღვრა საბანკო კრედიტის გამცემის პრეროგატივაა, ამიტომაც მან უნდა განსაზღვროს პროცენტი სამართლიანობის პრინციპის დაცვით.

თუ კრედიტისათვის შეთანხმებულია მყარი საპროცენტო განაკვეთი, კრედიტის ამლებს შეუძლია შეწყვიტოს საკრედიტო ხელშეკრულება, თუკი საპროცენტო ვალდებულება მთავრდება დაბრუნებისათვის განსაზღვრულ ვადამდე და საპროცენტო განაკვეთის შესახებ რაიმე ახალი შეთანხმება არ არის დადებული. შეწყვეტის ვადა შეადგენს ერთ თვეს.

მაგ: საბანკო კრედიტი არის აღებული 36 თვით, ხოლო მყარი პროცენტის გადახდა განსაზღვრულია 20 თვის ჩათვლით, ასეთ შემთხვევაში კრედიტის ამლები უფლებამოსილია დააბრუნოს კრედიტი ვადაზე ადრე მე-21 თვიდან.

მოვალეს შეუძლია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთით აღებული სესხი, შეწყვეტის სამთვიანი ვადის დაცვით.

თუ კრედიტის ამლები უკან აბრუნებს კრედიტს საკრედიტო ურთიერთობის დამთავრებამდე, მაშინ კრედიტის გამცემს შეუძლია მოითხოვოს ზიანის შესაბამისი ანაზღაურება. ამასთან, ზიანის საზღაურში უნდა ჩაითვალოს დაზოგილი გასაველების ღირებულება, აგრეთვე ის სარგებელი, რომელსაც კრედიტის გამცემი მიიღებდა სასესხო ვალუტის სხვაგვარი გამოყენებიდან, ან თუ კრედიტის მიმღებმა განზრახ არ დაუშვა მისი მიღება.

მაგ: კრედიტი აღებულია 24 თვით, ხოლო მისი დაბრუნება ხდება 12 თვეში. ასეთ შემთხვევაში კრედიტის გამცემი უფლებამოსილია მოითხოვოს კრედიტის ვადაზე ადრე დაბრუნების გამო გამოწვეული ზიანი.³¹

³¹ ზ.გაბისონია, საბანკო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“ 2012. გვ. 123

საბანკო კრედიტის გამცემს შეუძლია შეწყვიტოს საკრედიტო ურთიერთობა, თუ გათვალისწინებულია კრედიტის დაბრუნება ნაწილ-ნაწილ და კრედიტის ამღებმა გადააცილა ზედიზედ, სულ ცოტა, ორ ვადას. შეწყვეტა ძალაში შედის მაშინ, თუ ორკვირიანი დამატებითი ვადის მიცემის შემდეგაც არ მოხდება გადახდა.

მაგ: საბანკო კრედიტი აღებულია 24 თვით, მისი დაბრუნება ხორციელდება შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით ნაწილ-ნაწილ ყოველთვიურად. მე -12 და მე-13 თვეში მოვალემ არ გადაიხდა თვიური სახდელი. ასეთ შემთხვევაში კრედიტის გამცემი უფლებამოსილია მისცეს მოვალეს ორ კვირიანი დამატებითი ვადა, თუ ამ ვადაშიც არ გადაიხდის მოვალე, მაშინ კრედიტის გამცემი უფლებამოსილია ვადაზე ადრე შეწყვიტოს კრედიტის ხელშეკრულება და მოითხოვოს კრედიტის დარჩენილი თანხის დაბრუნება

2.2. საბანკო სესხის ხელშეკრულება

2.2.1. საბანკო სესხის ხელშეკრულების თავისებურაბანი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლის მიხედვით სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს ვალდებულებას დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი. ამ განმარტებიდან ნათლად ჩანს სესხის ხელშეკრულების რამდენიმე თავისებურება

1. სესხის ხელშეკრულება არის ცალმხრივი და რეალური
2. სესხის ხელშეკრულება გამსესხებლის ნების გამოვლენის საფუძველზე იდება.
3. სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების საფუძველს წარმოადგენს ფულის ან გვაროვნული ნივთის გადაცემა.

სესხის ხელშეკრულების მიზანია საკუთარების უფლების მოპოვება ნასესხებ ფულზე ან ნივთზე. მსესხებელს კი უფლება აქვს საკუთარი სურვილებისამებრ განკარგოს იგი.³²

³² ი. კავზანაძე, თანამედროვე საბანკო საქმე თეორია და პრაქტიკა, თბ., გამომც. „იურისტების სამყარო“, 2014. გვ.117

სასესხო ურთიერთობაზე დამყარებულ ვალდებულების შინაარსის განმსაზღვრელ მოქმედებას წარმოადგენს სესხის დაბრუნება მსესხებელმა უნდა დააბრუნოს მსგავსი, მაგრამ არა იმავე ნივთი, რომელიც ისესხა ეს კი არის სესხის ხელშეკრულების მთავარი თავისებურება , რომელიც მოცემულ ხელშეკრულებას საკუთარ სპეციფიკურობას სძენს.

როგორც ვიცით არსებობს სესხის ხელშეკრულების რამდენიმე სახეობა მათგან ერთ ერთია საბანკო სესხის ხელშეკრულება.სესხის ხელშეკრულებას, ისევე როგორც სხვა დანარჩენს, გააჩნია საკუთარი ისტორია.

ისტორიულად დამტკიცებული და აღიარებულია,რომ სესხის ხელშეკრულება არის ცალმხრივი და რეალური,მაგრამ თუ საკითხს ჩავუღრმავდებით უნდა ვთქვათ, რომ სხვანი ამბობენ,რომ საბანკო სესხის ხელშეკრულება ცალმხრივია, რადგან ერთი მხარე კისრულობს ვალდებულებას სესხად გადასცეს მეორე მხარეს ფული ხოლო მეორე მხარემ კი უნდა დააბრუნოს.ამ შემთხვევაში ეს უფრო წააგავს სესხის წინასწარ შეპირებას მსგავსი ხელშეკრულება კი ყოველთვის წერილობითი ფორმით უნდა დაიდოს.შემპირებელს კი შეუძლია, რომ უარი თქვას სესხის მიცემაზე თუ გაუარესდა პოტენციური მსესხებლის მდგომარეობა თუ მსგავსი საფრთხე არ არსებობს შემპირებელს შეუძლია მსესხებელთან დადოს ახალი ხელშეკრულება,სადაც განწერილი იქნება უფლება-მოვალეობანი.

საბანკო სესხის ხელშეკრულება გამსესხებლის ნების გამოვლენის საფუძველზე იდება.იმ შემთხვევაში თუ სესხის თანხის გადაცემა შეთანხმების შემდეგ უნდა მოხდეს ეს იქნება შეპირება და არა საბანკო სესხი.საბანკო სესხის ყველაზე გავრცელებულ ობიექტს ფული წარმოადგენს ანუ ის , რასაც ბანკი გადასცემს მის მსესხებელს საბანკო სესხის ხელშეკრულების ვალდებულების შესასრულებლად,რამეთუ სწორედ ფული შეიძლება ჩაითვალოს მსესხებლის უფლების დასაკმაყოფილებლად.

საბანკო სესხის ხელშეკრულების მიზანია საკუთრების უფლების მოპოვება ნასესხებ ფულზე ,მსესხებელს უფლება აქვს საკუთარი სურვილებისამებრ გამოიყენოს ნასესხები თანხა ამიტომაც , რომ როცა ბანკი მსესხებელზე თანხას გასცემს მსესხებელი

გახდება თანხის მესაკუთრე , მაგრამ იმ პირობით, რომ ის დააბრუნებს ნასესხებ თანხას და შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას.

საბანკო სესხის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ბანკმა უნდა მოიზიდოს ის აქტივები , რომელითაც შემდეგ გასცემს სესხს ამ აქტივების ანუ ფულადი სახსრების მოპოვება ხდება , როცა ბანკია მსესხებელი, ხოლო ფიზიკური პირი გამსესხებელი.

უფრო, რომ ჩავუღრმავდეთ საკითხის რაობას უნდა ვისაუბროთ სესხის გაცემასა და გადახდის პირობებზე.

ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესის შესაბამისად გამსესხებელი იღებს ვალდებულებას მისცეს სესხი მსესხებელს, ხოლო მსესხებელი ვალდებულია ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში და წესით, შესაბამისი სარგებლით, დაუბრუნოს სესხი გამსესხებელს.

1.სესხის ოდენობა:

2.წლიური საპროცენტო სარგებელი

3.სესხის ვადა

სესხი და მასზე დარიცხული სარგებელი უნდა დაბრუნდეს ვადის გასვლისთანავე. იმ შემთხვევაში თუ მხარეები შეთანხმდებიან სესხისა და პროცენტის დაბრუნების განსხვავებულ გრაფიკზე მხარეთა მიერ ხელმოწერილი გრაფიკი დაერთვება წინამდებარე ხელშეკრულებას.

სესხის გადაცემა ხდება მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ნაღდი ან საბანკო ანგარიშსწოდებით.

სესხის თანხის ნაღდი ფულით მიღების შემთხვევაში უნდა შედგეს თანხის გადაცემის ხელწერილი, ან მსესხებელმა სხვაგვარად, ხელმოწერით უნდა დაადასტუროს თანხის ფაქტობრივად მიღება.

თანხის გადაცემის ან/და ჩარიცხვის მომენტიდან გამსესხებლის მიერ სესხის მიცემის ვალდებულება შესრულებულად ჩაითვლება. იმ შემთხვევაში თუ გაცემულია სესხის

მხოლოდ ნაწილი, საპროცენტო სარგებელი დაერიცხება მხოლოდ ფაქტობრივად გაცემულ სესხის თანხას.³³

თუ გავიდა სესხით სარგებლობის ვადა და მსესხებელი მაინც არ უბრუნებს გამსესხებელს სესხის ძირ თანხას, მაშინ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის საპროცენტო სარგებელის დარიცხვა გაგრძელდება სესხის ძირითადი თანხის დაბრუნებამდე.

სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულება მსესხებლის მიერ ხდება შემდეგი რიგითობით: გამსესხებლის მიერ დარიცხული და მოთხოვნილი პირგასამტეხლო, დარიცხულის საპროცენტო სარგებელი, სესხის ძირითადი თანხა და შემდეგ სხვა ნებისმიერი ვალდებულება, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

2.2.2. საბანკო სესხის ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობანი

საბანკო სესხის ხელშეკრულების დროს როგორც ვიცით მონაწილეობს ორი სუბიექტი ესენია მსესხებელი და გამსესხებელი . თითოეულ მათგანს გააჩნიათ, როგორც უფლებები ასევე მოვალეობები და მათ უნდა შეძლონ და პირნათლად შეასრულონ ეს უფლება - მოვალეობანი საბანკო სესხის ხელშეკრულების დადების მომენტიდან და იმ შემთხვევაში თუ ისინი არ შეასრულებენ მატყე დაკისრებულ მოვალეობებს ეს წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსით არის განპირობებული.³⁴

ახლა კი მინდა ვისაუბრო კონკრეტულად იმ უფლებებსა და მოვალეობებზე, რომელიც წარმოიშობა საბანკო სესხის ხელშეკრულების დადების და მისი კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან.

საბანკო სესხის ხელშეკრულებისას ვალდებულებები შეიძლება, როგორც წარმოიშვას ასევე შეწყდეს კიდევ, მაგრამ სანამ შეწყვეტის საკითხზე ვისაუბრებ განვიხილავ საქართველოში მდგომარეობას მხარეთა უფლებების და მოვალეობების წარმოშობაზე და შემდგომში მათ შესრულებაზე.

³³ რ. შენგელია, ე. შენგელია, საბანკო საართლის საფუძვლები თბ. გამომც. „სამართალი“, 2014. გვ. 354

³⁴ ი. კავანაძე თანამედროვე საბანკო საქმე, თეორია და პრაქტიკა, თბ., გამომც. „იურისტების სამყარო“ 2014. გვ. 118

საბანკო სესხის ხელშეკრულების დროს მხარეები ვალდებული არიან შეასრულონ ვალდებულება ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები ვალდებული არიან კომუნიკაციისას გამოიყენონ წერილობითი ფორმა. წერილობითი შეტყობინება მხარეს შეიძლება მიენოდოს პირადად ან გაეგზავნოს კურიერის ან საფოსტო გზავნილის (მათ შორის დაზღვეული წერილის) საშუალებით. ასევე მხარეები ვალდებული არიან ოპერატიულობის მიზნით და ქვემოთ მოცემული დებულებების გათვალისწინებით, დასაშვებია მეორე მხარისათვის შეტყობინების მიწოდება ფაქსის, ელექტრონული ფოსტის, მოკლექტექსტური შეტყობინების სახით იმ პირობით, რომ მხარის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში მას მიენოდება შეტყობინება წერილობითადაც.

მხარეები ვალდებული არიან ხელშეკრულებაში მითითებული მონაცემების (მისამართი, ტელეფონის ნომერი და ა.შ.) ცვლილებების შესახებ აცნობონ მეორე მხარეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მხარის მიერ აღნიშნულ მისამართზე მიწოდებული ინფორმაცია (სასამართლო, საარბიტრაჟო, ნოტარიუსის, გაფრთხილების და შეტყობინების გაგზავნა და სხვა) ჩაითვლება ჩაბარებულად.

მხარეები ვალდებულებას იღებენ საბანკო სესხის ხელშეკრულებით დაუყონებლივ მიანოდონ ერთმანეთს ყოველგვარი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს სასესხო ურთიერთობებზე, მსესხებლის განცხადების საფუძველზე გამსესხებელი უფლებამოსილია გაუგრძელოს მსესხებელს სესხის დაფარვის ვადა.

ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, ხელშეკრულების პირობების დამრღვევმა მხარემ უნდა აუზღაუროს მეორე მხარეს დარღვევით მიყენებული ზიანი.

საბანკო სესხის ხელშეკრულებით ან/და მისი დანართით გათვალისწინებული ვადამოსული გადასახდელის გადახდის დაგვიანების შემთხვევაში გამსესხებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს მსესხებელს პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ვადამოსული დავალიანების **გარკვეული** ოდენობით.

რაც შეიძლება აღინიშნოს პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მსესხებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების, მათ შორის საპროცენტო სარგებლის გადახდისგან.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საბანკო სესხის ხელშეკრულებას გააჩნია ვადა და ვადის გასვლის შემდეგ მოცემული ხელშეკრულება წყდება, რაც სამართლებრივ შედეგს იწვევს.³⁵

როდესაც ხელშეკრულება ძალაში შედის გამსესხებლის მიერ თანხის გაცემის მომენტიდან და ძალაშია მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე ხელშეკრულება რეალურია, ხოლო ხელშეკრულება, რომელიც თანხის გაცემის შემდეგ შედის ძალაში ამ დროს ხელშეკრულება კონსესუალურია ანუ საბანკო სესხის ხელშეკრულება შესაძლებელია იყოს, როგორც რეალური ასევე კონსესუალური.

ხელშეკრულება ვადამდე შეიძლება შეწყდეს შემდეგ შემთხვევებში და წესით: გამსესხებლის ინიციატივით, წინასწარ **ხუთი** დღით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, მსესხებლის მიერ ხელშეკრულებით და/ან გრაფიკით ნაკისრი გადახდის ვალდებულების **რამოდენიმე დღის გადაცილების** შემთხვევაში, ან თუ გადახდის ვადის გადაცილება აღემატება **ერთ თვეს..**

საბანკო სესხის ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს გამსესხებლის ინიციატივით, წინასწარ **5 (ხუთი)** დღით ადრე წერილობითი შეტყობინებით, თუ მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობა არსებითად უარესდება, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ვალის დაბრუნებას. ეს უფლება მაშინაც არსებობს, თუ მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობის გაუარესება წინ უსწრებდა ხელშეკრულების დადებას, ხოლო გამსესხებლისათვის იგი ცნობილი გახდა მხოლოდ ხელშეკრულების დადების შემდეგ.

მნიშვნელოვანია და გასათვალისწინებელია ისიც, რომ სესხის ხელშეკრულება წყდება მხარეთა ორმხრივი შეთანხმებით, რომელიც წერილობითი ფორმით უნდა გამოხატონ.

³⁵ ი.კავზანაძე „თანამედროვე საბანკო საქმე, თეორია და პრაქტიკა თბ., გამომც. „იურისტების სამყარო“, 2014. გვ. 109

იმ შემთხვევაში თუ მსესხებელმა გადაწყვიტა მასზე დაკისრებული მოვალეობები პირნათლად შეასრულოს საჭიროა ფულადი ვალდებულებების მის მიერ სრულად გადახდა, რაც ბოლო აკორდი იქნება ვალდებულების შესრულების და საბანკო სესხის ხელშეკრულების შეწყვეტის.³⁶

საბანკო სესხის ხელშეკრულების შესრულებისას და მხარეთა უფლება-მოვალეობების შესრულებისას აუცილებლად უნდა ვახსენოთ თუ რა შემთხვევებში თავისუფლდებიან მხარეები მათზე დაკისრებული მოვალეობებისგან და პასუხისმგებლობისგან, რომელიც მათ აკისრიათ.

მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისთვის თუ ეს გამომწვეულია ფორსმაჟორული გარემოებებით, რომელთა წინასწარ გათვალისწინებას და თავიდან აცილებას ვერ შეძლებდა შესაბამისი მხარე მიზანშეწონილი ზომების მიღებით და რომელთა დადგომისას მხარეები მათგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მოკლებულნი იყვნენ შესაძლებლობას შეესარულებინათ წინამდებარე ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები. ფორსმაჟორულ გარემოებებს მიეკუთვნება ბუნებრივი მოვლენები: წყალდიდობა, ქარიშხალი, მიწისძვრა, საომარი მოქმედებები, ომი, გაფიცვა, და სხვა დაუძლეველი ძალა, რაც შეუძლებელს ხდის ვალდებულების შესრულებას.

ფორსმაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, საბანკო სესხის ხელშეკრულების მხარემ რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ, ასევე უნდა გავითვალისწინოთ, რომ საბანკო სესხის ხელშეკრულებისას მხარის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე უფლების გამოუყენებლობა არ ნიშნავს ამ უფლების უარყოფას.³⁷

³⁶ ზ. გაბისონია, საბანკო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2012. გვ. 110

³⁷ ზ. გაბისონია, საბანკო სამართალი, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2012. გვ. 108

აღსანიშნავია ისიც, რომ მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების და წარმოშობილია მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავა უნდა გადაწყდეს სასამართლოსადმი მიმართვის გზით.

ხელშეკრულების ნებისმიერი დამატება ან/და ცვლილება ძალაშია, თუ იგიშესრულებულია წერილობით, ხელმოწერილია მხარეთა ან მათი უფლებამოსილი წარმომადგენლების

ხელშეკრულების რომელიმე მუხლის ბათილად/ძალადაკარგულადცნობა არ იწვევს საბანკო სესხის ხელშეკრულების ან მისი სხვა მუხლის ბათილობას/ძალადაკარგულობას. მხარეები ყველა შესაძლო ზომას მიიღებენ, რათა ამგვარი ბათილი/ძალადაკარგული დებულება შეიცვალოს იურიდიული ძალის მქონე მსგავსი შინაარსის დებულებით, რათა შესაძლებელი იყოს ხელშეკრულების მიზნის შენარჩუნება.

ხელშეკრულებით გაუთვალისწინებული ურთიერთობანი მხარეთა შორის რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, უპირატესად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად.

იმისთვის, რათა საბანკო სესხის ხელშეკრულების მხარეებს წარმოეშვათ უფლებები და მოვალეობები საბანკო სესხის ხელშეკრულება შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე ორ იდენტურ ეგზემპლიარად. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლიარი წარედგინება „გამსესხებელს“, ხოლო მეორე „მსესხებელს“

მხარეებმა ხელშეკრულების ხელმოწერით უნდა დადასტურონ, რომ სრულად ესმით ხელშეკრულების დებულებათა შინაარსი, არ არის ის ბუნდოვანი და ეთანხმებიან მას და ყოველივე ამის შემდეგ მათ ექნებათ უფლებებიც და დაეკისრებათ მოვალეობებიც.

სასესხო ვალდებულების შეწყვეტა ნიშნავს გამსესხებელსა და მსესხებელს შორის სამართლებრივი ურთიერთობის მოსპობას. ამ დროს მათ ერთმანეთთან აღარ აკავშირებთ სასესხო უფლებები და მოვალეობები, მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ სასესხო სამართლებრივი ურთიერთობათა შეწყვეტისას მათი მონაწილეები ყოველთვის აღწვევენ მიზანს, ზოგჯერ შეიძლება მიზნის მიღწევამდე შეწყდეს სასესხო ვალდებულება და კრედიტორი დაზარალებული დარჩეს.

სესხის ხელშეკრულების ყველაზე რეალურ და გავრცელებულ საფუძველს მისი შესრულება წარმოადგენს. ასეთ შემთხვევაში მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი უფლება-მოვალეობების ჯეროვანი შესრულება შესაძლებელი ხდება.

საბანკო სესხის მხარეთა უფლება-მოვალეობა ითვალისწინებს გამსესხებლის უფლებას ჩართოს ვალდებულებების შესრულებაში სხვა პირი ეს ძირითად შემთხვევაში თავდებობის დროს ხდება და ასევე მას შეუძლია მისი ვალდებულებების შესრულება ამ პირს მოთხოვოს ამას იურისპრუდენციაში ვალის გადაკისრება ჰქვია.³⁸

2.2.3. საბანკო კრედიტის სახეები

საბანკო კრედიტი წარმოადგენს სესხის ხელშეკრულების სპეციალურ სახეს, ³⁹რომლის მხარეები არიან ერთი მხრივ სპეციალური სუბიექტი – ბანკი ან სპეციალური ლიცენზიის მქონე ორგანიზაცია და მეორე მხრივ მსესხებელი, რომელიც შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირი.

საბანკო კანონმდებლობაში მკვეთრად არ არის ერთმანეთისგან გამიჯნული საბანკო კრედიტის ცალკეული სახეები. ისინი ერთიანი საბანკო კრედიტის ხელშეკრულების ფარგლებში მოიაზრებიან და ხელშეკრულების დადებისას შეიძლება აქცენტი იყოს გაკეთებული კონკრეტული კრედიტის მაკვალიფიცირებელ ნიშნებზე, რომელთა მიხედვით შესაძლებელი გახდება მათი ცალკეულ ჯგუფებად დაყოფა. სამოქალაქო კოდექსში ზოგადად საბანკო კრედიტზე საუბარი ხოლო კომერციული ბაკების საქმიანობის შესახებ კანონში საბანკო კრედიტის ცალკეულ სახეებად დაყოფის ცდაა მოცემული .

სამართლებრივ დოქტრინაში შესაძლებლად იქნა მიჩნეული გენერალური საბანკო კრედიტის ხელშეკრულების ცალკეულ სახეებად დაკონკრეტების შესაძლებლობა.

საბანკო კრედიტის ცალკეულ სახეებად დაყოფის საფუძველია მისი მიზნობრივი დანიშნულება, ოდენობა და ვადიანობა. ამ მხრივ საქართველოში ყველაზე

³⁸ ი. კავშინიძე, თანამედროვე საბანკო საქმე, თეორია და პრაქტიკა, თბ., გამომც. „იურისტების სამყარო“, 2014. გვ. 123

³⁹ რ. შენგელია, ე. შენგელია, საბანკო სამართლის საფუძველები, თბ., გამომც. „სამართალი“, 2014. გვ. 402

გავრცელებულ სახეებს წარმოადგენენ სამომხმარებლო, იპოთეკური, ბიზნეს და სალომბარდო კრედიტები.

საბანკო კრედიტის ხელშეკრულება დადებულად ითვლება, მხარეთა მიერ შეთანხმების მომენტიდან მაგრამ არის შემთხვევები, როდესაც საბანკო კრედიტის ხელშეკრულება დადებულად ითვლება სესხის ფაქტობრივად გადაცემის მომენტიდან, როგორც ეს არის სესხის ხელშეკრულების ხვევაში ეს დამოკიდებულია მხარეთა შეთანხმებაზე, რადგან საბანკო კრედიტის ხელშეკრულება შეიძლება იყოს როგორც რეალური ასევე კონსესუალური.

საბანკო კრედიტის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ სახეს სამომხმარებლო და იპოთეკური კრედიტი წარმოადგენს.

სამომხმარებლო კრედიტი ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი სახეა კრედიტის, რადგან სამომხმარებლო კრედიტის მიღება შეიძლება უზრუნველყოფის გარეშე. სამომხმარებლო კრედიტით სარგებლობა შეიძლება მოხდეს მოკლევადიან ვადებში და ის საპროცენტო განაკვეთიც, რომელიც დაწესებულია მისთვის მისაღები იმ პირებისთვის, რომელიც იყენებენ სამომხმარებლო კრედიტს.

იპოთეკური კრედიტი საცხოვრებელი სახლის თუ კომერციული ფართის შესაძენად გავრცელებული საბანკო პროდუქტია. ბანკები სულ უფრო მეტად დახვეწილ და მოქნილ პირობებს სთავაზობენ მომხმარებლებს, ვისაც ამგვარი სესხით სარგებლობა სურს. რა არის ის მნიშვნელოვანი ინტორმაცია, რაც უნდა იცოდეს ნებისმიერმა მოქალაქემ, ვინც გადაწყვეტს, რომ იპოთეკური სესხის მისაღებად ბანკს მიაკითხოს. ამ თემებზე თიბისი ბანკის რეგიონალური დირექტორი ლევან დიასამიძე გვესაუბრება.

საზოგადოებაში იპოთეკური კრედიტის გავრცელების სხვადასხვა ინტერპრეტაციაა გავრცელებული. ძალიან ხშირია შემთხვევები, როდესაც იპოთეკურ სესხს ეძახიან უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ ნებისმიერი ტიპის კრედიტს, ამ ტერმინს ხშირად იყენებენ და ამკვიდრებენ მიკრო საფინანსო ორგანიზაციები, სესხის უზრუნველყოფიდან და არა სესხის მიზნობრიობიდან გამომდინარე. თუმცა, საბანკო სივრცეში იპოთეკური კრედიტის ძირითადი განმასხვავებელი სხვა ტიპის სასესხო

პროდუქტებისაგან არის მისი მიზნობრიობა, რომელიც შეიძლება იყოს უძრავი ქონების – სახლის, აგარაკის, მიწის ნაკვეთის შეძენა. შინაარსობრივად, ⁴⁰სწორედ მიზნობრიობით განასხვავებენ იპოთეკურ სესხს სამომხმარებლო სესხისაგან. თუ ერთ შემთხვევაში მიზნობრიობა უძრავი ქონების შეძენაა, მეორე შემთხვევაში მიზნობრიობა შეიძლება იყოს სამომხმარებლო საჭიროებების დაკმაყოფილება (მაგ: ტელევიზორის, მობილურის თუ სხვა ნივთის შეძენა).

პირველ რიგში მნიშვნელოვანია გავიაზროთ ის ვალდებულებები, რომელსაც ვიღებთ სესხის სანაცვლოდ და რომ ამ ვალდებულებების შესრულება საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ჩვენთვის აუცილებელი იქნება. შესაბამისად, უნდა განვსაზღვროთ, რამდენად სტაბილური და გრძელვადიანი შემოსავლის წყარო გაგვაჩნია, რა რისკების წინაშე შეიძლება დავდგეთ გადაუხდელობის შემთხვევაში. ხოლო მას შემდეგ, რაც ჩამოვყალიბდებით იპოთეკური სესხის აღების მიზანშეწონილობაში, მნიშვნელოვანია ყურადღება მივაქციოთ: სესხის გაცემასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ტიპის საკომისიოებს, ეფექტურ საპროცენტო განაკვეთს, გადაუხდელობის ან წინსწრებით დაფარვის შემთხვევაში საჯარიმო სანქციებს, სესხის დაფარვის გრაფიკებს, სესხის ვალუტას და სესხის ვადას. იმისათვის, რომ კარგად გვეჩვენოს გააზრებული ჩვენი ვალდებულებები, მნიშვნელოვანია წავიკითხოთ ყველა ხელშეკრულება, რომელზეც გვინევს ხელის მოწერა სესხის აღების პროცესში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი, არის საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროცენტო განაკვეთი, რომლის გაანგარიშებაშიც ასევე შედის მსესხებლის მიერ სესხის გაცემის პროცესში განეული ყველა აუცილებელი ფინანსური ხარჯი. ხოლო წლიური საპროცენტო განაკვეთი, არის სესხის ღირებულება დამატებითი ხარჯების გათვალისწინების გარეშე.

სხვადასხვა ბანკების კრედიტების პირობების შედარებისას, მნიშვნელოვანია ერთმანეთს შევადაროთ ეფექტური საპროცენტო განაკვეთები და არა მხოლოდ წლიური საპროცენტო განაკვეთები. ამით მარტივად განვსაზღვრავთ, რომელი შემოთავაზებაა ჩვენთვის უფრო მომგებიანი.

⁴⁰ ი. კოვზანაძე, გ. კონტრიძე, თანამედროვე საბანკო საქმე, თბ., გამომც. „იურისტების სამყარო“, 2014. გვ. 333

იპოთეკური კრედიტი, განსხვავებით სხვა ტიპის სასესხო პროდუქტებისაგან, ძირითადად არის გრძელვადიანი. ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ლარის, დოლარის, ევროს თუ სხვა კონკრეტული ვალუტის გაუფასურებასთან დაკავშირებული რისკებიც განსხვავებულია. შესაბამისად, გრძელ ვადაში ვალუტის სტაბილურობა ანუ ჩვენს მიერ მიღებული სესხების ღირებულება, შეიძლება საფინანსო ორგანიზაციისთვის მნიშვნელოვნად შეიცვალოს. სწორედ აღნიშნული რისკიდან გამომდინარე, იპოთეკური სესხის საპროცენტო განაკვეთი, სხვადასხვა ვალუტაში შეიძლება იყოს განსხვავებული. ქართულ რეალობაში, იპოთეკურ სესხებზე დოლარში და ევროში შედარებით დაბალი საპროცენტო განაკვეთია, ვიდრე ლარში.

უკანსკნელი პერიოდის განმავლობაში ძალიან ხშირად გვხვდება სასესხო პროდუქტები ცვლადი საპროცენტო განაკვეთით. ცვლადად, დოლარის შემთხვევაში აღებულია ლიბორი (LIBOR – London Interbank Offered Rate/ ლონდონის ბანკთაშორის შეთავაზების განაკვეთი) ხოლო ლარის შემთხვევაში ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთი. მათი ცვლილება პირდაპირპროპორციულად აისახება სესხის საპროცენტო განაკვეთის ცვლილებაზე.

მაგალითად, თუ ჩვენ გვაქვს ცვლადი საპროცენტო განაკვეთიანი სესხი 12%-ში და სესხის აღების მომენტში ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთი შეადგენდა 8%-ს, მისი 7%-მდე დაწევის შემთხვევაში, ჩვენი წლიური სარგებელი შეიცვლება 11%-მდე, ხოლო აწევის შემთხვევაში შესაბამისად გაიზრდება.

როგორც სასესხო პროდუქტებზე, ასევე დეპოზიტებზე, საპროცენტო განაკვეთის ცვლილება შეიძლება დამოკიდებული იყოს არაერთ ფაქტორზე. დაწყებული ჩვენი პირადი ფინანსური მდგომარეობით და სტაბილურობით, დამთავრებული რგიონალური თუ გლობალური მასშტაბის პროცესებით. მაგალითად, რაც უფრო სტაბილური და ფინანსურად მდგრადია ქვეყანა, მით უფრო დაბალ განაკვეთებში შეუძლიათ ბანკებს მოიზიდონ ფინანსური რესურსები და შესაბამისად, დაბალი საპროცენტო განაკვეთებით გასცენ სესხები. რაც შეეხება ტენდენციებს 2008 წლიდან, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სიტუაცია

მეტნაკლებად სტაბილურია და სასესხო პროდუქტებზე ფასების მნიშვნელოვანი მატება არ შეინიშნება.⁴¹

როგორც უკვე აღვნიშნე, ჩვენ კარგად უნდა გავიაზროთ ის პასუხისმგებლობები, რაც დაკავშირებულია სესხის აღებასთან. გავაანალიზოთ ჩვენი ფინანსური მდგომარეობა და ქვეყანაში უძრავი ქონების ბაზარზე არსებული სიტუაცია. სწორედ ამის შემდეგ უნდა გადავწყვიტოთ, თუ რამდენად ადეკვატური დროა იპოთეკური სესხის აღებისა და ჩვენი სურვილების განსახორციელებლად. ხოლო, მას შემდეგ, რაც მივიღებთ გადაწყვეტილებას იპოთეკური სესხის აღებაზე, უნდა შევისწავლოთ სხვადასხვა საფინანსო ორგანიზაციების შემოთავაზებები, შევადაროთ ეფექტური საპროცენტო განაკვეთები, განვსაზღვროთ რა ვალუტაში გვირჩევნია სესხის აღება და ა. შ.

2.2.4. სამომხმარებლო კრედიტი

კრედიტის ეს სახე იმდენად პოპულარულია და თვართოდ გამოიყენება, რომ კომერციული ბანკები გარდა, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების საქმიანობის ძირითადი მიმართულების განმსაზღვრელ კრიტერიუმადაც მიიხსენიება.

სამომხმარებლო კრედიტი დღითიდღე უფრო მეტად პოპულარული და მოთხოვნადი ხდება. კრედიტის ეს ნაირსახეობა გაიცემა პირადი მოხმარებისთვის, ნებისმიერი მიზნობრიობით. ამ მომსახურეობით სარგებლობა შესაძლებელია, როგორც მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში ასევე ბანკებში. სამომხმარებლო კრედიტი შეიძლება იყოს ქონების უზრუნველყოფით ან უზრუნველყოფის გარეშე. ამ ტიპის სესხით სარგებლობა შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ პირს, ვისაც გააჩნია სესხის დაფარვის სტაბილური წყარო. მაგალითად: შემოსავალი ბიზნესიდან, ხელფასიდან, იჯარიდან, უცხოეთიდან მიღებული თანხა და სხვა.

⁴¹ ზ. გაბისონია, „საბანკო სამართალი“, თბ., გამომც. „მერიდიანი“, 2012. გვ. 105

სამომხმარებლო კრედიტს ბანკი არა მარტო ფიზიკურ პირებზე გასცემს უშუალოდ არამედ ცალკეულ სავაურო ორგანიზაციებზეც ასეთი კრედიტის საფუძველზე მიედევლებს აძლევენ შექმნილი ნივთის ღირებულების გადახდის განვადების შესაძლებლობას.

სამომხმარებლო კრედიტის მიზნობრიობა:

- ცხოვრების პირობების გაუმჯობესება
- განათლების დაფინანსება
- მოგზაურობა
- სასურველი ნივთის შექმნა
- მიმდინარე ხარჯების დაფარვა

სამომხმარებლო კრედიტი, როგორც წესი, მოკლევადიანია და შესაბამისად, ყველაზე ძვირი სხვა სესხებთან შედარებით. საპროცენტო განაკვეთი ძირითადად დამოკიდებულია სესხის ვადაზე, მოცულობასა და მომხმარებლის შემოსავალზე.

სამომხმარებლო კრედიტი მიკროსაფინანსო კომპანიებში და ბანკებში

კრედიტის ეს ტიპი განსხვავდება ბანკებში და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში. საკრედიტო კომპანიებში სამომხმარებლო სესხი, როგორც წესი, გაიცემა მცირე თანხის ოდენობით, მოკლე ვადით, ქონების უზრუნველყოფის და ცნობების გარეშე. სესხის აღების პროცედურა საკმაოდ მარტივი და სწრაფია. რაც შეეხება ბანკს, აქ ამ ტიპის პროდუქტის მიღება უამრავ პროცედურებთანაა დაკავშირებული. მაგალითად, დიდი რაოდენობით ფულის სესხების შემთხვევაში მომხმარებელი ვალდებულია წარადგინოს აუცილებელი დოკუმენტაცია. უზრუნველყოფის შემთხვევაში ქონების საკუთრების დამადასტურებელი საბუთი და შემოსავლის დამადასტურებელი დოკუმენტი. ასევე შესაძლოა აუცილებელი იყოს თავდები პირის წარდგენა. გარდა ამისა, მომხმარებელმა უნდა გადაიხადოს სესხის აღების და საკრედიტო ბიუროში გადამონმების საკომისიო.

თითოეულ საფინანსო ინსტიტუტს სამომხმარებლო კრედიტზე თავისი დადებითი მხარეები გააჩნია. მიკროსაფინანსო ფირმებში თანხის სესხებისას პირობები საკმაოდ

მარტივი და მოქნილია, სამაგიეროდ ბანკში ფულის მაქსიმალური ლიმიტი ბევრად მეტია.⁴²

სამომხმარებლო სესხის მიღების 3 გზა და ესენია:

- ონლაინ – ეს შემოთავაზება ხელმისაწვდომია როგორც მცირე საფინანსო ორგანიზაციებში ასევე ბანკებში. განაცხადის შევსება შესაძლებელია დღის ნებისმიერ მონაკვეთში, ონლაინ რეჟიმში. სესხის მოთხოვნაზე განაცხადის შევსების შემდეგ, ის გადაეგზავნება კრედიტორს და სამუშაო საათებში მოხდება მისი განხილვა.
- ტელეფონით – მსესხებელი უთითებს საკუთარ ტელეფონის ნომერს და კრედიტორი მას უკავშირდება უმოკლეს პერიოდში. ეს სერვისი შეიძლება მოქმედებდეს 24 საათის განმავლობაში.
- ფილიალში მისვლით – მომხმარებელს შეუძლია ეწვიოს უახლოეს ფილიალს და მიიღოს საჭირო ინფორმაცია პირადად კრედიტორისგან.

სამომხმარებლო სესხის კალკულატორი:

კალკულატორის მეშვეობით კლიენტს რომელიც აკეთებს განაცხადს სესხზე შეუძლია წინასწარ დაიანგარიშოს მოსალოდნელი ხარჯები. მიუთითეთ თანხის ოდენობა (ლარში ან უცხოურ ვალუტაში), დაფარვის სიხშირე და ვადა. ხარჯების დათვლა დაგეხმარებათ უფრო ეფექტურად მართოთ თქვენი ფინანსები და იყოთ წინდახედული. გარდა სესხისა ონლაინ კალკულატორით ასევე შესაძლებელია ანაბრის სარგებლის დათვლა.

სამომხმარებლო სესხით სარგებლობისას უნდა იყოს გასათვალისწინებელი რამდენიმე ფაქტორები. პირველ რიგში, მომხმარებელი უნდა აკმაყოფილებდეს კომპანიის პირობებს. სამომხმარებლო სესხები 20 წლიდან გაიცემა. სესხით სარგებლობისას ყურადღება მიაქციეთ მისი გაცემის ან წინასწარ დაფარვის საკომისიოს. საკომისიო გადასახადი ძირითადად 2%-ს შეადგენს. გარდა ამისა, გაეცანით ხელშეკრულებას, რათა იცოდეთ რა მოვალეობები დაგეკისრებათ

⁴² ი. კავზანაძე, თანამედროვე საბანკო საქმე, თეორია და პრაქტიკა, თბ., გამომც. „იურისტების სამყარო“, 2014. გვ.127

კომპანიისგან. თქვენი უფლებების და მოვალეობების ცოდნა აგარიდებთ უსიამოვნებებს და ფინანსურ პრობლემებს.

სამომხმარებლო კრედიტი დაფარვის ფორმის მიხედვით იყოფა ერთჯერად და განვადების წესით დასაფარსახეებად. პირველ შემთხვევაში სავაჭრო ორგანიზაციების მიერ მყიდველებს ბანკში ეხსნებათ მიმდინარე ანგარიშები. მიღებული კრედიტით მყიდველები ყიდულობენ სხვადასხვა საგნებს თავიანთი დავალიანების ვადის გასვლამდე. გადახდა კი ხდება ერთჯერადად. მეორე შემთხვევა კი უფრო გავრცელებულია და გულისხმობს განვადებით დაფარვას. განვადება კი შესაძლებელია კრედიტისა და მასზე დარიცხული პროცენტის ნაწილ-ნაწილ გადახდის განხორციელებით.

სამომხმარებლო კრედიტის რეალიზაცია ორი მეთოდით ხდება პირდაპირი და ირიბი გზით. პირდაპირი კრედიტი მომხმარებლებზე გაიცემასავაჭრო ორგანიზაციების შუამავლობის გარეშე. ბანკები კლიენტებს აძლევენ საკრედიტო ჩეკებს, რომლებიც გამოიყენება საქონლის ფასის გასანაღდებლად. არაპირდაპირი ანუ ირიბი გზა სახეზე გვაქვს მაშინ, როცა ბანკები ხელშეკრულებას დებენ სავაჭრო ორგანიზაციებთან, რომლის დროსაც ვალდებულებას იღებენ განსაზღვრული თანხის შემთხვევაში დააკრედიტონ მყიდველები.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია მიღებულ იქნეს სრულყოფილი კანონი სამომხმარებლო კრედიტის შესახებ, რომელშიც დეტალურად იქნება გაანალიზებული მისი დადების წესები, ძირითადი ყურადღება კი უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ ხელშეკრულებაში არ იყოს კაბალური პირობები წარმოდგენილი მსესხებლისთვის.

2.2.5. ბიზნესკრედიტი

როდესაც საუბარია კრედიტზე, ადამიანების უმეტესობა, ძირითადად, მხოლოდ სამომხმარებლო კრედიტზე ფიქრობს. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ფინანსური სფერო ამ ტიპის სესხით შემოიფარგლება და ისინი არ ფიქრობენ ისეთ მომგებიან და გაცილებით მსხვილ ბიუჯეტთან მომხმარებელზე, როგორც ბიზნეს სექტორია.⁴³

⁴³ რ. შენგელია, ე. შენგელია, საბანკო საართლის საფუძვლები, თბ. გამომც. „სამართალი“ 2014. გვ. 406

ბიზნესკრედიტი აქტიური კრედიტია. საბანკო საქმიანობის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოხატულებაა. კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელის უმეტესი ნაწილი სწორედ ბიზნესის განვითარებისთვის, სამეწარმეო ურთიერთობის სუბიექტთა ფინანსური მხარდაჭერისთვის გათვალისწინებული კრედიტია.

ბიზნესკრედიტში ყველზე მეტადაა გამოხატული საბანკო კრედიტის მიზნობრივი ხასიათი იგი უნდა გაიცეს სამეწარმეო ურთიერთობის სფეროში მსესხებლის როლში გამოდიან მენარმე , ფიზიკური და იურიდიული პირები.

ბიზნესკრედიტის გაცემის პროცესი რამდენიმე ეტაპისგან შედგება. უპირველეს ყოვლისა კრედიტის მსურველთა განცხადების განხილვის, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების, კრედიტის გაცემისა და დაბრუნების უზრუნველყოფის პირობების განსაზღვრაზე.

პოტენციური მსესხებლის განაცხადი კრედიტის მიღების სურვილის შესახებ შედგენილ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით და წარედგინოს ბანკს. კრედიტის გაცემის მიღებამდე ბანკი ანუ კრედიტის გამცემი უნდა დარწმუნდეს განმცხადებლის კრედიტუნარიანობაში, რათა თავიდან იქნეს აცილებული ის რისკები, რომლებიც ალბებული კრედიტის დაუფარველობასთან არის დაკავშირებული.

ბიზნესკრედიტის მიმღებმა უნდა წარადგინოს ბანკში შემდეგი ხასიათის დოკუმენტაცია:

1. იურიდიული ხასიათის საბუთები
2. ბუღალტრული ანგარიშგება
3. კრედიტის გამოყენების ტექნიკურ-ეკონომიკური დახასიათება ანუ ბიზნეს-გეგმა
4. დასაკრედიტებელი ღონისძიების საბუთები
5. კრედიტის უზრუნველყოფის საშუალების გამოყენების შესაძლებლობის დამადასტურებელი საბუთები და სხვა.

ბიზნესკრედიტის განსახორციელებლად აუცილებელი პირობაა ხელშეკრულების პაკეტის სრულად მომზადების შემდეგ უნდა დაიწყოს საკრედიტო სახსრების მსესხებლისთვის გადაცემის პროცესი.

რათქმაუნდა, ბიზნესისათვის განკუთვნილი სესხები არც თუ ისე მრავალფეროვანია, როგორც სამომხმარებლო სესხები, თუმცა განსხვავება აქაც არის და ამ ტიპის

მომსახურებასაც ბანკების გარდა სხვადასხვა ტიპის ფინანსური ორგანიზაციებიც თავაზობენ მომხმარებელს. შევეცდებით მოკლედ მოგანოლოთ ძირითადი ინფორმაცია საქართველოში ხელმისაწვდომ ბიზნეს სესხებთან დაკავშირებით. სად შეგიძლიათ მიიღოთ, რა რაოდენობის თანხა შეიძლება მოგცენ, რა ვადით და მიზნობრიობით.

პირველ რიგში თვალი გადავაგვლოთ ქართული ბანკების შემოთავაზებებს.

- საქართველოს ბანკში შეგიძლიათ ისარგებლოთ სტანდარტული ბიზნეს სესხით, საკრედიტო ხაზით, ოვერდრაფტით ან ევროპული ბიზნეს სესხით. აქ ბიზნეს სესხის ზოგადი პირობები ასე გამოიყურება: სესხი გაიცემა ბიზნესის განვითარების ან ახალი/ინოვაციური გეგმების განსახორციელებლად. თანხა 500 ლარიდან 1 300 000 ლარამდე შეგიძლიათ მიიღოთ, ხოლო სესხის ხანგრძლივობის მაქსიმალურმა ვადამ 10 წელიც კი შეიძლება შეადგინოს. რათქმუნდა ასეთი თანხის სესხებისას ბუნებრივია ბანკმა უზრუნველყოფა მოგთხოვოთ, თუმცა თუ თქვენ 17 000 ლარამდე თანხა გესაჭიროებათ მხოლოდ, ბანკისთვის თავდებობაც საკმარისი იქნება. რაც შეეხება ზემოთხსენებულ თანხაზე უფრო მეტ ლიმიტს, ამ შემთხვევაში დაგჭირდებათ სესხის უძრავი ქონების, ძირითადი საშუალებების, საბანკო გარანტიის ან დეპოზიტის სახით. რაც შეეხება სესხზე დარიცხულ საპროცენტო განაკვეთს, როგორც ბანკი გვატყობინებს ის ცვალებადია, რადგან მიბმულია ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთზე და განისაზღვრება კონკრეტულ პერიოდში ინდივიდუალურად.
- მეორე მსხვილი კრედიტორი საბანკო სფეროში – თიბისი ბანკია, რომელიც თავის მომხმარებელს ასევე თავაზობს ბიზნესის დაფინანსებას სხვადასხვა მიმართულებით. აქ თქვენ შესაძლებლობა გაქვთ მიიღოთ თანხა საბრუნავი კაპიტალის, ძირითადი საშუალებების, ვაჭრობის დასაფინანსებლად, ასევე შემოგთავაზებენ საკრედიტო ხაზს, შეღავათიან აგროკრედიტს. კონკრეტულ ინფორმაციას ბიზნეს სესხის ვადების, პირობებისა და ოდენობის შესახებ ბანკი ვებ-გვერდიდან არ აწვდის მომხმარებელს. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში

ისინი გვირჩევენ დავეუკავშირდეთ 24 საათიან ცხელ ხაზს კვირის ნებისმიერ დღეს, ან ვეწვიოთ უახლოეს ფილიას, რომ მივიღოთ ზუსტი ინფორმაცია კონკრეტული მოთხოვნის შემთხვევაში არსებული პირობების შესახებ.

- წინამორბედისგან განსხვავებით სრულ ინფორმაციას აწვდის ბიზნესის წარმომადგენლებს პროკრედიტ ბანკი. იმისთვის რომ ბიზნეს სესხით ისარგებლოთ, თქვენ პირველ რიგში უნდა აირჩიოთ რა ტიპის სესხი გჭირდებათ. ბანკი გთავაზობთ: კრედიტს მცოცავი განაკვეთით, აგრო კრედიტს, მოკლევადიან ბიზნეს კრედიტს, ბიზნეს ოვერდსრაფტს, საკრედიტო ლიმიტს ან ეკო სესხს ბიზნესისთვის. ზოგადი პირობები სესხის მისაღებად კი ასე გამოიყურება: მიზნობრიობა – როგორც საბრუნავი საშუალებების, ასევე ძირითადი საშუალებების, უძრავი ქონების შეძენა და ზოგადად სხვა ბიზნეს მიზნები. განსხვავებაა ვადებში. თუ საბრუნავი საშუალებების დასათუნანსებლად თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ 36 თვემდე ვადიანი სესხით, ძირითადი საშუალებების შეძენის შემთხვევაში ეს ვადა 60 თვეს უტოლდება, ხოლო უძრავი ქონების შეძენისას კი – 180 თვეს. სესხის ვალუტა შეზღუდული არ არის და ის შესაძლოა იყოს როგორც ლარში, ასევე ევროსა და/ან დოლარში. რაც შეეხება დარიცხულ წლიურ საპროცენტო განაკვეთს, საქართველოს ბანკის მსგავსად, მისი დაანგარიშება ინდივიდუალურად ხდება.

გარდა ბანკებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიც საკმაოდ აქტიურად არიან ჩართული ბიზნესის დაფინანსებაში. ისინი უფრო ხშირად აგრო კრედიტებს გასცემენ, თუმცა სხვა ტიპის ბიზნეს სესხებიც აქვთ დაინტერესებული მომხმარებლისათვის. როგორც წესი, სამომხმარებლო სესხის მსგავსად, არასაბანკო ბიზნეს სესხის მიღებაც შედარებით მარტივია პროცედურებისა და მოთხოვნების თვალსაზრისით, თუმცა აუცილებელია მსესხებელმა ორგანიზაციებმა ყურადღება მიაქციონ ასეთი სესხის საპროცენტო განაკვეთსა და ვადას. უმეტეს წილად არასაბანკო ბიზნეს სესხები მცირე დროით და გაცილებით მაღალი პროცენტით გაიცემა, ვიდრე ეს საბანკო სესხის შემთხვევაში იქნებოდა. თუმცა, იმის გამო, რომ პროცედურა მომხმარებლისთვის

ბანკებისგან განსხვავებით ბევრად მარტივია, ამ ტიპის სესხზე მოთხოვნა კერძო საკრედიტო ორგანიზაციებში მაინც საკმაოდ მაღალია.

ბიზნესკრედიტის და მისი გამოყენებისთვის დაწესებული სარგებლის დაბრუნება შესაძლებელია ნაწილ-ნაწილ ძირითადი ხელშეკრულებით გათვალისწინებული გრაფიკის შესაბამისად. ასეთი გრაფიკი ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად ითვლება და მისი დარღვევა ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა არაჯეროვნად შესრულებლად ან საერთოდ შეუსრულებლობად განიხილება, რისთვისაც შესაბამისი პასუხისმგებლობაა დაწესებული.

2.2.6. იპოთეკური კრედიტი

სამომხმარებლო კრედიტის გავრცელებულ სახეობას წარმოადგენს იპოთეკური კრედიტი. მას საბანკო კრედიტის სხვა ფორმებსა და სახეებს შორის განსაკუთრებული ადგილი უჭირავს და მნიშვნელოვან სოციალურ ეკონომიკურ ფუნქციას ასრულებს საბაზრო მეურნეობის პირობებში.

იპოთეკური კრედიტი ბიზნესკრედიტისგან განსხვავებით გაიცემა უმეტესად არამენარმე ფიზიკური პირების მიმართ და არ აქვს მნიშვნელობა ეს პირი რეზიდენტი თუ არარეზიდენტი კრედიტის გაცემა ხდება წინასწარ განსაზღვრული მიზნისთვის.⁴⁴

იპოთეკური კრედიტი არის უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი გრძელვადიანი მიზნობრივი კრედიტი, რომლის მეშვეობით შეგიძლიათ შეიძინოთ, ააშენოთ ან გაარემონტოთ უძრავი ქონება - ბინა, აგარაკი, მიწის ნაკვეთი. სესხის პირობები ინდივიდუალურია და დამოკიდებულია მომხმარებლის შემოსავალზე, მის საკრედიტო ისტორიაზე და შესაძენი ქონების ღირებულებაზე. იპოთეკური სესხის აღება შესაძლებელია, როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში, საპროცენტო განაკვეთი დაახლოებით 8%-იდან იწყება, სესხის დაფარვის მაქსიმალური ვადა კი 180 თვე, ანუ 15 წელია.

იპოთეკური სესხის სარგებლობისას უნდა გავითვალისწინოთ ის დამატებითი დანახარჯები, რომელიც თან ახლავს:

⁴⁴ ზ. გაბისონია, საბანკო სამართალი, თბ. „გამომც.“ მერიდიანი“ 2012 გვ. 107

- სესხის გაცემის საკომისიო
- საპროცენტო განაკვეთი
- საჯარო რეესტრის ან ნოტარიუსის ხარჯი
- სესხის

-0:11

წინსწრებით დაფარვის პირგასამტეხლო მაქს. 2%

- უძრავი ქონების და მსესხებლის სიცოცხლის დაზღვევის ღირებულება

იპოთეკური კრედიტის უძრავი ქონებით უზრუნველყოფა გულისხმობს, რომ სესხის მოქმედების პერიოდში თქვენ მიერ აღებული სასესხო ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში ბანკს უფლება აქვს, მოახდინოს უზრუნველყოფაში არსებული უძრავი ქონების რეალიზაცია.

⁴⁵სესხის დაფარვის გრაფიკი და საპროცენტო განაკვეთი დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე: კრედიტის მოცულობა, მსესხებლის შემოსავალი და მისი სტაბილურობა და სხვა. იპოთეკის ხელშეკრულება რეგისტრირდება საჯარო რეესტრში.

იპოთეკა მოთხოვნის უზრუნველყოფის ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს მისი გამოყენება შესაძლებელია, როგორც ჩვეულებრივი სესხის ისე საბანკო კრედიტის გაცემისას.

სესხის იპოთეკის ხელშეკრულება შედგება რამოდენიმე ეტაპისგან და ეს ეტაპები ასე გამოიყურება:

1. ხელშეკრულების საგანი
2. სესხის უზრუნველყოფა
3. იპოთეკარის დაკმაყოფილება
4. იპოთეკის საგნის უნაკლოობა
5. ხელშეკრულების შეწყვეტა
6. დასკვნითი დებულებები

გაუყვებოთ თანმიმდევრულად

⁴⁵ ი. კავზანაძე, თანამედროვე საბანკო საქმე, თეორია და პრაქტიკა, თბ., გამომც. „იურისტების სამყარო“, 2014 . გვ. 130

1. ხელშეკრულების საგანი არის ის ფორმა, როდესაც მხარეები თანხმდებიან გარკვეულ პირობებზე, რომელიც ხელშეკრულებაში ზედმინწევით არის განწერილი და ასახული.⁴⁶
2. სესხის უზრუნველყოფისას ყურადღება ექცევა იმ გარემოებებს თუ რითი უნდა მოხდეს იპოთეკური კრედიტის გადახდა და რა იქნება ის ჯარიმა და პირგასამტეხლო თუ გადაუხდელობის შემთხვევაში მსესხებელს დაეკისრება.
3. იპოთეკარის დაკმაყოფილება იპოთეკის საგნის რეალიზაციისას იპოთეკარის მოთხოვნამოვალის მიმართდაკმაყოფილებულად ითვლება მხოლოდ ციმ ნაწილში, რასაც ფარავს იპოთეკის საგნის ღირებულება და იმ შემთხვევაში თუ იპოთეკარისსაკუთრებაში გადასული საგნის ღირებულება ტოლია ან აღემატება მოთხოვნის მოცულობას მოთხოვნა დაკმაყოფილებულია სრულად და იპოთეკარს არ ეკისრება იპოთეკის საგნის ღირებულებისა და მოთხოვნის მოცულობას შორის სხვაობის გადახდის ვალდებულება.
4. იპოთეკის საგნის უნაკლოობისას უძრავი ქონება დატვირთულია იპოთეკით, რაც დასტურდება უძრავი ქონების შესახებ საჯარო რეესტრიდან ამონაწერით, რამეთუ საჯარო რეესტრია პასუხისმგებელია იმ ამონაწერზე, რომლის გაცემაც მისი ვალდებულებაა.
5. ხელშეკრულება წყდება მხარეთა მიერ ვალდებულებათა სრულად შეუსრულებლობით, აუქციონზე იპოთეკის საგნით რეალიზაციით, მხარეთა შეთანხმებით, ამ ხელშეკრულებაში დადგენილ სხვა შემთხვევაში, მხარეთა შეთანხმებით ან ვალდებულებათა შესრულებით, იპოთეკის გაუქმებისთვის აუცილებელია ამ ხელშეკრულების სანოტარო წესით გაუქმება და იპოთეკის რეგისტრაციის გაუქმება.
6. დასკვნით დებულებაში კი ნათქვამია, რომ მხარეები საკითხებს წყვეტენ ურთიერთმოლაპარაკებით ხოლო დავის შემთხვევაში უნდა მიმართონ სასამართლოს.

⁴⁶რ. შენგელია, ე. შენგელია, საბანკო საართლის საფუძვლები, თბ., გამომც. „სამართალი“, 2014. გვ 413

დასკვნა

ჩვენს მიერ საკვლევად შერჩეული თემის განხილვისა და დეტალური ანალიზის შედეგად, შესაძლებელია გაკეთებული იქნეს შემდეგი სახის დასკვნები:

საბანკო კრედიტის სამართლებრივი რეგულირებას საკუთარი ისტორია გააჩნია, როგორც უკვე აღვნიშნე, მაგრამ მისი ისტორია ძირითადად და კავშირებულია მის ეკონომიკურ მხარესთან, რაც შეეხება სამართლებრივ ასპექტებს ის ასახავს ჰპოვებს მაშინ, როცა საჭიროა მისი სამართლებრივ ნორმებთან თავმოყრა და კოდიფიცირება.

საბანკო კრედიტის სამართლებრივი რეგულირება რამდენიმე ფაქტორზეა დამოკიდებული და ეს ფაქტორები არა მხოლოდ იმ ნორმებზეა დამოკიდებული, რომელიც განსაზღვრავს საბანკო კრედიტის იურიდიულ ხასიათს არამედ მის ეკონომიკურ ხასიათზეც.

საბანკო კრედიტის სამართლებრივ რეგულირებაზე საუბრისას უნდა ვახსენოთ ისიც, რომ საბანკო კრედიტი შესაძლებელია იყოს, როგორც რეალური ასევე კონსენსუალური, რაც აღნიშნულ ნაშრომშიც აღვნიშნე ეს კი მიუთითებს იმაზე, რომ საბანკო კრედიტის სამართლებრივი რეგულირების დროს ეს საკითხი ყველაზე დიდი სენსიტიურობის შემცველია, რადგან საბანკო კრედიტის მიმღებს ხშირ შემთხვევაში არ ესმის ეს, რაც დამატებით ხარვეზებს წარმოქმნის ნაკისრი ვალდებულებების პროცესში და მისი შესრულების დროსაც.

საბანკო კრედიტის სამართლებრივი რეგულირება გავლენას ახდენს მის ფორმაზე უნდა აღინიშნოს ის, რომ ის ყოველთვის წერილობითი ფორმით უნდა დაიდოს, ხოლო რეალური იქნება თუ კონსენსუალური ეს იმ ხელშეკრულებით გამოჩნდება, რომელიც შემდგომში განაპირობებს მხარეთა უფლება- მოვალეობებს მხარეთა თანხმობის დადასტურების და მათი ხელმოწერის შემდეგ, რადგან საბანკო კრედიტის ხელშეკრულების პირობები და მხარეთა უფლება მოვალეობები შესაძლებელია ამოქმედდეს, როგორც ხელშეკრულების დადებისთანავე ასევე შემდეგ სწორედ ამიტომაც, რომ ეს საკითხი საკმაოდ სენსიტიურია და ხშირ შემთხვევაში პრობლემატურიც.

მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ისტორია ადასტურებს, რომ საბანკო კრედიტის სამართლებრივი რეგულირება ხელს უწყობს რეგულირების მექანიზმების შემუშავებას, რომლებიც შემდეგ აქტიურად გამოიყენება. თუმცა, დროთა განმავლობაში ეკონომიკაში რეგულირების ტრადიციული ღონისძიებები აღარ მუშაობს. მით უმეტეს, რომ ეკონომიკის გართულებასთან ერთად ჩნდება ახალი, ადრე არარსებული ეკონომიკური „დაავადებები“. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო მსოფლიო ფინანსური კრიზისის დროს გამოიკვეთა თანამედროვე საბანკო ბაზრების რეგულირების სისტემებში ცვლილებების აუცილებლობა, რომლებიც ამა თუ იმ ზომით უკვე განხორციელდა განვითარებულ ქვეყნებში;

როდესაც საუბარია საბანკო რეგულირების სისტემაში კრედიტის სამართლებრივ რეგულირებაზე, ხაზგასასმელია ასევე შემდეგი მნიშვნელოვანი მომენტი, რომელიც ეხება განსაკუთრებით ჩამოყალიბების პროცესში მყოფ საბანკო ბაზრებს. ბევრ მათგანში მარეგულირებელი სისტემა „ნულიდან“ იქმნებოდა. ამავე დროს, მისი შექმნისას პირები, რომლებიც პასუხისმგებელი იყვნენ ნორმატიული დოკუმენტების შემუშავებაზე, ეყრდნობოდნენ სხვა ქვეყნების შესაბამის დოკუმენტებს. 1990-ან წლებში ძირითადად გამოიყენებოდა ამერიკული ნორმები, ხოლო 2000-ანი წლებიდან დღემდე - მეტწილად ევროკავშირის ქვეყნების ნორმები.

ბანკის საქმიანობის ანალიზისადმი სისტემური მიდგომები, რომელიც ჩვენ უკვე განვიხილეთ, უნდა მოიცავდეს მაჩვენებლების დაბალანსებულ სისტემას, რომელიც ითვალისწინებს მისი საქმიანობის ყველა ასპექტს. დაბალანსებული სისტემა საშუალებას იძლევა, რომ ჩატარდეს ბანკის შიდა კავშირების ყოველმხრივი ანალიზი, გაკონტროლდეს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ცვლილებები მართვის სხვადასხვა სფეროებში და მათზე განხორციელდეს გავლენა. დაბალანსებული მაჩვენებლების სისტემის ძირითადი დამახასიათებელი თვისება არის ის, რომ ყველა მაჩვენებელი, რომელიც შედის ამ სისტემაში, ორიენტირებულია ბანკის - მიზნებსა და ამოცანებზე და ყველა მათგანი დაკავშირებულია ერთმანეთთან გარკვეული ჯგუფების

მიხედვით საბანკო კრედიტის სამართლებრივი რეგულირება ამ რგოლის ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა უნდა იყოს, რადგან საბანკო კრედიტის რეგულირება არის უმნიშვნელოვანესი ბანკებისთვისაც და ასევე მისი მომხმარებლებისთვისაც.

საბანკო სისტემის მდგრადობის მაჩვენებლების განსაზღვრის მიმართ ერთ-ერთი მიდგომა ორიენტირებულია საბანკო საქმიანობის ურთიერთკავშირის სპეციფიკაზე მის ძირითად მიმართულებებში. საბანკო სისტემის მდგრადობის მაჩვენებლებს ის ყოფს ორ ჯგუფად: ფაქტორი გრანტები და საფრთხეები, რომლებსაც შეუძლიათ მიიყვანონ სისტემა ან სტაბილურ ფუნქციონირებამდე ან ნეგატიურ ტენდენციებამდე და ეკონომიკის გაფართოებული კვლავწარმოების შეუძლებლობამდე.

საქართველოში მიმდინარე ეტაპზე საბანკო კრედიტის სამართლებრივი რეგულირების საკითხი ძალიან მკაფიოდ დგას, რასაც ვხედავთ იმ რეგულაციების ამოქმედებაში, რომელსაც ახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი მოსახლეობის ჭარბვალიანობის საკითხის არმოსაფხვრელად და ეფექტური დაკრედიტების სისტემების ამჟამად-ამუშავებასთან დაკავშირებით, რაც თავისთავად არის დაკავშირებული საბანკო კრედიტის სამართლებრივი რეგულირების სწორი ასპექტების წარმოჩინებასთან.

გამოყენებული ლიტერატურა

მონოგრაფიები

1. გაბისონია ზ., საბანკო სამართალი“ თბ., 2017;
2. შენგელია რ., შენგელია ე., საბანკო სამართლის საფუძვლები“ თბ., 2014;
3. კოზინაძე ..ი., კონტრიძე გ., თანამედროვე საბანკო საქმე“ თბ., 2014;
4. ასათიანი რ., ფული და ფულადი სისტემები“ თბ., 1996 ;
5. ცაავა. გ. საბანკო საქმე თბ., 2005;
6. მოსიაშვილი ვ. ფულის მიმოქცევისა და კრედიტის თეორიები. თბ., 2009;
- 7.. ლუღუშაური ლ. კრედიტი და თანამედროვე საბანკო მექანიზმი. თბ. 1998 ;

უცხოური ლიტერატურა

8. Банк и банковские операции. под. ред. У.Ф. Жукова. М.2003;
9. Банковское дело, под ред. проф. О. И. Лавгушина, 2005;
10. Жуков . Менеджмент и маркетинг в банках. М. 2002;
11. Финанси, Денежное обращение, Кредит. под ред. проф. Дробозиной А. А., М., 2004;

ნორმატიული აქტები

12. საქართველოს კონსტიტუცია, თბ., 1995., (ახალი რედაქციით);
13. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997;
14. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი, თბ., 1999;
15. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარები, თბ., 2002;
16. საქართველოს შრომის კოდექსი, თბ., 2015;
- 17.. საქართველოს საგადასახადო კოდექსი , თბ., 2015;

18..საქართველოს კანონი ეროვნული ბანკის შესახებ , თბ. 2018;

ვებ-გვერდები

19<https://www.kimbi.ge>

20.<http://www.nplg.gov.ge>

21.<http://www.lari.ge>